

619

ბ. 50 რ.




ქართული

№ 10 1990

საქართველო



დედა ენავ!




დედა ენა

პირველი წიგნი

ქართული ანბანი

პირველი მისწავლის კურსი, დამატებითი, დაწესებითი და უფასო.

საბავშვო-საშუალო.




თავი გოგონა-შვილს შეგზავნე.

თავი გოგონა-შვილს

გუნებურის პირი

ანუ

ურმათათვის საკითხავი წიგნი



თავი გოგონა-შვილს

გუნებურის პირი

თავი გოგონა-შვილს

19.3/6



150

დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და, რომლის შესწავლა ბავშვებს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა ენა, სწავლება დედაენაზე, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შექმნისა.

იაკოვ გოგაბაშვილი.

გამულო, საქვარალო!



დროშა

№ 10. ოქტომბერი. (406), 1990

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

ნო მერ შ ი ა:

ოთარ ჭინჭლაძე. იაკობი.
 ჯეგალ მხსრიშვილი. ირემო მთასა მჟვირალ...
 ელზუჯა მჟვავიშვილი. სოციალიზმი: მითი თუ რეალობა?
 ეთერ ლონდარიძე. ხამალაი ფალავანი.
 ფამალი თუ საფამლავი? (დიალოგი) ოთარ გვეტაძე. ერთი აკადემიური საათი (მოთხრობა)
 გურამ თაქთაქიშვილი. მიწისძვრის მაუწყებლები.
 ვარლამ როდონია. არ ახალია, ძველია...
 ნათელა გიორგობიანი. დედა დაბრუნდა!
 პანორამა.
 ჯოვანი პაკინი. სულთა ბაცვლა (ნოველა)
 კროსკორდი.

საქართველოს კა ტა.ის გამომცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

სამრედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვანო გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ მსხვერჯია, ჯეგალ მხსრიშვილი, დინარა ნოდია (მხატ. რედაქტორი), თენგიზ სახსონაძე.

დროშა 1

საქართველოს
 დემოკრატიული
 ბიბლიოთეკა

1840 წლის 27 ოქტომბერი.
გორის მახლობლად გაშლილმა ქართლის ერთმა ლამაზმა სოფელმა, დღესაც ვარიანი რომ ჰქვია, საქართველოს იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი აჩუქა.
მას შემდეგ 150 წელმა განვლო, ხოლო დღეს კიდევ უფრო ცხადი შეიქნა, რომ ეს მართლაც უზომოდ დიდი და ძვირფასი საჩუქარი ყოფილა.
ისეთი, რომელიც თავის ელვარე ღირსებას არც ხვალ დაკარგავს.

გორი, თბილისი, კიევი — სასულიერო განათლების აღმავალი საფეხურები.
საექიმო დასკვნა: სუსტი ჯანმრთელობა და სამშობლოში დაბრუნება.

თბილისი.
1863 წელი.
იაკობ გოგებაშვილის სამასწავლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ხანგრძლივი, ძნელად სავალი და უაღრესად ნაყოფიერი გზის დასაწყისი.

ილია.
თერგდალეულ სამოციანელთა დიდებული პლეადა.
და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებული ტალღები.

იაკობ გოგებაშვილი, ვითარცა დიდი პედაგოგი, განმანათლებელი და თავისი დროის ერთი იმ გამოჩენილ მოღვაწეთაგანი, რომელიც ერის მამად აღიარებულ წმინდა ილიას ღირსეულ თანამებრძოლად მოგვევლინა, რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს რთულმა, წინააღმდეგობრივმა და მეტად დაძაბულმა ეპოქამ შვა. ვარიანელი ჰაბუკის ერის დიდკაცად დაბადების მტკივნეული პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ვითარდებოდა. ამ ფონის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ბატონ-ყმური ურთიერთობის რღვევა, კაპიტალიზმის განვითარება, ეროვნული და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობათა გამწვავება და, ყოველივე ამის შედეგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმასვლა.

იაკობ გოგებაშვილის განმანათლებლური მსოფლმხედველობის მებრძოლი ხასიათი სათავეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან იღებს. ამიტომაც მოქცეული ქართული განმანათლებლური აზრის ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი საერთო რევოლუციური განმანათლებლობის იდეურ ორბიტაში და სწორედ ამიტომ გაითავისა მან, მომავალმა ერისკაცმა, თითქოსდა მისი სამშობლოში ნაადრევად დაბრუნების მოლოდინში მყოფი ილია ჭავჭავაძის მოწოდება ისეთი ღონისძიებების განხორციელებისაკენ, რომლებიც „გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანას“.

„საქართველოს მოამბის“ ამ ილიასეულ საპროგრამო მოწოდებიდან ორი წლისთავზე — 1865 წელს გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის „ქართული აზრის და პირველი საკითხავი წიგნი“. ასე უპასუხა მაშინ ოცდახუთი წლის ჰაბუკმა ახალი თაობისადმი მიმართულ ილიას ომახიან შეძახილს.

და მომდევნო წლების კვლავინდებურად დაძაბული შრომა...
1868 წელი — „ბუნების კარი“.
1872 წელი — „დედა ენა“.
1887 წელი — „რუსკოე სლოვო“.

და კიდევ 150-მდე პუბლიკაცია, რომელიც ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ქეშმარიტი საგანძურია.

ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა.
კი, მაგრამ, ვისთვის და რისთვის იქმნებოდა ქართული სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები, წერილები სკოლაში სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

საქმე გვაქვს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენასთან. რომელიც ვერ გამოიკვლია და წარმოაჩინა ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

განათლების ორი ურთიერთდაპირისპირებული სისტემა.

XIX საუკუნის დამდეგიდან შექმნილმა ვითარებამ ქართველი ერი ისტორიული განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უჩვეულო და ძნელი იყო ამ გზის დასაწყისი იმდროინდელი საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრების უკლებლივ ყველა

სფეროსათვის. უკიდურესად ძნელი აღმოჩნდა იგი აგრეთვე სახალხო განათლების წინსვლისათვისაც მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მფლობელობაში გაერთიანებული საქართველო მტკიცედ დაადგა მშვიდობიანი ცხოვრების გზას.

ცარიზმის პირველი ნაბიჯები საგანმანათლებლო პოლიტიკის დარგში.

მეფის თვითმპყრობელობამ სავსებით უარყო ძველი ქართული სკოლა და ერთბაშად გააუქმა სასკოლო განათლების მთელი, ამასთან იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი, ფართოდ განშტოებული ქსელი და ხელი ახალი, რუსული სკოლის დაფუძნებას მოჰკიდა.

1804 წელი — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი.
1850 წელი — ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელი.


ორად ორი სახელმწიფო სასწავლებელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

სახელმწიფო საერო და ოფიციალური სასულიერო სასწავლებლების ქსელის მომდევნო წლებშიც უაღრესად ნელი ტემპით ზრდამ და ამ სკოლებში გადმოტანილმა სწავლა-აღზრდის უცხო პრინციპებმა განაპირობეს ძველი საეკლესიო-სამონასტრო, აგრეთვე საშინაო სწავლების სკოლების აღდგენა და ინდივიდუალური სწავლების კერძო პრაქტიკის განვითარება. XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაწყებული ძველი ქართული სკოლების აღდგენა-განვითარების პროცესი ხასიათდება იმით, რომ თითქმის ერთდროულად აღდგა ბევრი საეკლესიო-სამონასტრო სკოლა და ამგვარად, ქართულმა ეკლესიამ კვლავ დაიბრუნა მშობლიურ ენაზე ხალხის სწავლა-განათლების ტრადიციული უფლება-მოვალეობა. ეკლესია-მონასტრებთან არსებულმა სკოლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალთა განათლების საქმეშიც. მაგრამ, მათი ქსელი მაინც ვერ აკმაყოფილებდა სწავლის მსურველთა მოთხოვნილებებს, რის გამოც ოჯახური აღზრდის ძველმა ტრადიციებმა თავი იჩინეს „საშინაო სკოლების“ სტიქიურად აღდგენასა და სწრაფად გავრცელებაში. ასეთი სკოლების ნაირსახეობას წარმოადგენდა თავადაზნაურობაში გავრცელებული ინდივიდუალური საოჯახო აღზრდაც. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად ვითარდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რამაც საბოლოოდ განამტკიცა სახალხო განათლების ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთიმეორისადმი დაპირისპირებული სისტემის არსებობის რეალობა.

ერთია სახელმწიფო საერო და ოფიციალური სასულიერო სასწავლებლების სუსტად განვითარებული ქსელი, სადაც უარყოფილია დედაენაზე სწავლების, აგრეთვე ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების პრინციპი და სწავლების საყოველთაო ხასიათი. ეს სასწავლებლები მუშაობენ ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, დადგენილი სასწავლო რეჟიმით და მიზნად ისახავენ ადგილობრივი თავად-აზნაურობიდან ცარიზმის ერთგული მოხელეების აღზრდას.

მეორეა სწავლა-აღზრდის ეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებული ქართული საერო, აგრეთვე საეკლესიო-სამონასტრო, სოფლად საშინაო, ხოლო ქალაქებსა და მსხვილ დაბებში საზოგადოებრივი და კერძო სკოლების საკმაოდ განვითარებული ქსელი. ეროვნული სკოლა არის დედა ენაზე სწავლების, საყოველთაო და ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების სკოლა, რომელიც მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. ამ სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, მოსწავლეთა უმრავლესობას გლეხების შვილები შეადგენენ და სწორედ ეს განხდა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სწავლა-აღზრდის ამ ეროვნულმა სისტემამ ფართო მხარდაჭერა და გავრცელება პირობა იმდროინდელ საქართველოში. ამავე დროს, აღზრდის ეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებულმა არაოფიციალურმა სკოლამ აღზარდა და წარმოაჩინა ბევრი გულისხმიერი აღმზრდელი, შექმნა პირობები მათი პედაგოგიური დაოსტატებისათვის და, ამგვარად, ხელი შეუწყო პროფესიონალ მასწავლებელთა ეროვნული კადრების შექმნის დიდ-მნიშვნელოვან საქმეს. ქართული სკოლა განხდა აგრეთვე ქართული წიგნის ძირითადი მომხმარებელი, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა საკირო სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის გამოცემა, რაც დიდი კულტურული და საგანმანათლებლო მნიშვნელობის მოვლენაა.

ასე და ამდგვარად შეინარჩუნა არსებობა ქართულმა სკოლამ



იმ დრომდე, როცა მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-
შავრცელებელი საზოგადოება“ დაეპატრონა და დაიწყო ქართუ-
ლი სახალხო სკოლის არსებობის გოგებაშვილისეული ხანა. ამ
ხანის დასაწყისი ეტაპია იაკობ გოგებაშვილის მონაწილეობა იმ-
დროინდელ „ლიტერატურულ სალონში“, სადაც მისივე ინიცია-
ტივით დაარსდა წირის წვერთა სალარო სოფლად სახალხო სკო-
ლების გახსნისა და საგამომცემლო საქმიანობის გაშლის მიზნით
და მომწიფდა აზრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელი საზოგადოების“ დაარსების თაობაზე, რაც 1879 წელს
განახორციელა იაკობ გოგებაშვილმა ნიკო ცხვედრაძესთან ერთად.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-
გადოება“, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის აქტიური, ქმედითი
თანადგომით თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე ილია ჭავ-
ჭავაძე მეთაურობდა, საქართველოში სახალხო განათლების
მძლავრ მიორგანიზებელ ძალად იქცა. საზოგადოება აარსებდა
სახალხო სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, უზრუნველყოფდა მათ
სახელმძღვანელოებით, სხვა ლიტერატურით, ეწეოდა წიგნის
ფართო პროპაგანდას, ეხმარებოდა ხელმოკლე ახალგაზრდებს
უმაღლესი განათლების მიღებაში. ამიტომ გახდა იგი განათლების
ეროვნული სისტემის ფაქტობრივი და რეალური ხელმძღვანელი,
რომელმაც, არსებითად, დააქონა XIX საუკუნის საქართველო-
ში ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემისადმი დაპირისპირებუ-
ლი სახალხო განათლების ქართული ეროვნული სისტემის არსე-
ბობა და სათავეში ედგა მას, ვიდრე საქართველოში საბჭოთა
ხელისუფლების დამყარებამდე, როცა დასაბამი ეძლევა ქართუ-
ლი ზოგადსაგანმანათლებლო საბჭოთა სკოლის ახალ ისტორიას.

იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის დიდი მშე-
ნებელია. მის სამსახურს მოახმარა მან მთელი თავისი უშრეტე
ენერჯია და საოცრად რაინდული შემართება.

XIX საუკუნის საქართველო, რომელმაც შეძლო თავისი ერო-
ვნული თავისთავადობის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირო-
ბებში შენარჩუნება.

ამის ქმნა ქართული სკოლის დიდი დამსახურებია, რამეთუ
იგი დედანის ბალავარს ეყრდნობოდა.

აი, ვისთვის და რისთვის იყო საჭირო „დედა ენა“, „ბუნების
კარი“, „რუსკოე სლოვო“.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და ანბანის შემდეგ საკით-
ხავი ნაწილი, ისევე როგორც მისივე „ბუნების კარი“, აგრეთვე
სხვა საბავშვო მოთხრობები საოცარ კავშირს ამყარებენ ქართვე-
ლი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილ გო-
ნებრივ სიბრძნესთან და ზნეობრივ სიკეთესთან. „დედა ენის“
ავტორმა ეს კავშირი განახორციელა ისეთი საკითხავი მასალის
შერჩევით, რომელიც გამოხატავდა ზალხის ზრუნვას უკეთესი
მომავლისათვის და ამავე დროს იმედსაც; შრომისადმი ღრმა პა-
ტივისცემას და სიყვარულს; ადამიანთა შორის კეთილ ურთიერ-
ობას, დამყარებულს შრომისა და გარჯის მადლზე, სიძულვილს
უქნარისა, ავგულობისა და ანგარებისადმი. ამავე დროს ის, რა-
საც იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს შრომის უფლებობისა
და მუშა კაცის ღებჭირი ცხოვრების, სუსტთა, უღონოთა და
ობოლთა უწყვეტო მდგომარეობის თაობაზე, სიმდიდრის, უსაქ-
მურობისა და განცხრომის თავგასული სიამაყისა და უსამართ-
ლობის ბატონობაზე, თავის თავად უღვივებდა მკითხველს პრო-
ტესტს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ
თვალსაზრისითაც, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ბოლომდე
დარჩა ცარიზმის თვითმპყრობელური რეჟიმის მამხილებელ და
მის წინააღმდეგ მიმართულ სახელმძღვანელო წიგნად.

არსებობს ამის დამადასტურებელი ერთი საგულისხმო გარე-
მოცემაც.

ცარიზმის თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში, როცა
რუს იმპერატორთა რესკრიპტებში, სახელმწიფო აქტებსა და იმ-
პერიის პოლიტიკურ რუკებზე გუბერნიებად და ოლქებად დაყო-
ფილი საქართველო არც კი მოიხსენიებოდა, იაკობ გოგებაშვი-
ლის „დედა ენა“ სწავლის მძებნელთ ასწავლიდა, რომ არის, არ-
სებობს, ცოცხლობს ერთიანი, განუყოფელი საქართველო თავისი
ისტორიული საზღვრებით, რის დასტურადაც იქვე იყო მოხატუ-
ლი ამ ერთიანი საქართველოს რუკა.

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა საქართველოში გამოიყენა
ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი. შესანიშნავად შეუხა-
მა იგი ქართული ენის ფონეტიკურ ბუნებას და ლოგიკური კავ-
შირი დაამყარა „ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლებას შორის“.
ასეთი კავშირის დამყარება იმ უბრალო მიზეზის გამო მოხერხდა
რით, როცა ანბანი ასოების ნაცვლად სიტყვებით ისწავლება, მა-
შინ, როგორც იაკობ გოგებაშვილი განმარტავდა, „მოსწავლე-
მყისვე გრძობს, რომ ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლებას შო-
რის არსებობს კავშირი“.

„აი ია“ — იყო ჭეშმარიტად დიდი აღმოჩენა, რომელმაც
ერთბაშად დააკავშირა სწავლების პროცესი ბუნებას, სიცოცხ-

ლეს, რეალურ სინამდვილეს და საყოველთაოდ ხელშესახები გა-
ხდა იგი.

დედა ენის მეშვეობით გაგვიღო იაკობ გოგებაშვილმა ქართუ-
ლთა „ბუნების კარი“, არამედ კარი „რუსკოე სლოვოს“ საფუ-
როშიც. სამივე ერთად შეკრებილი ეს ლამაზი კონა-ღირნი ქართუ-
ველი პედაგოგის ნააზრევის გვირგვინია.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების ჩამოყალი-
ბებასა და მის საერთო პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართუ-
ლებაზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსეთის მოწინავე პედა-
გოგიკურმა იდეებმა, განსაკუთრებით კ. დ. უშინსკის პედაგოგი-
კურმა ნააზრევმა. რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლის ჰუმან-
იზმითა და ხალხურობის იდეებით გამსჭვალული პედაგოგიკური
შეხედულებებისათვის ნოყიერი ნიადაგი სწორედ საქართველო
აღმოჩნდა. დიდი რუსი პედაგოგის შეხედულებები დედაენაზე
სწავლებისა და სხვა საკითხებზე დიდ დახმარებას უწევდნენ ქა-
რთველ მოღვაწეებს ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის გა-
მტარებელთა და დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ
იყო პოპულარული კ. დ. უშინსკი საქართველოში.

იაკობ გოგებაშვილი:

— პირადად მე დიდად ვაფასებდი ყოველთვის უშინსკის შე-
უდრეკელს ნიჭსა და ღვაწლს, მისი ნათელი მიმართულება და
ღრმა აზრები ანდამატივით მიზიდავდნენ, და ჩემს წერილებში
მოიბოგება არა ერთი ადგილი იმისი თხზულებებიდან, მაგრამ
სახელმძღვანელოების შედგენაში კი საკუთარი გზას ვაძეგქი და
ვადგავარ, მეტადრე ჩემი მოღვაწეობის მეორე ნახევარში. თუ
მკითხველი არ დაიზარებს და შეადარებს ჩემს ახლანდელს „დე-
და ენას“ და „როდნოე სლოვოს“, ჩემს ახლანდელს „ბუნების
კარს“ და „დეტსკი მირს“, დარწმუნდება, რომ პირველ ჩემს სა-
ხელმძღვანელოში ექვსი განყოფილებიდან მხოლოდ ერთსა აქვს
მსგავსება უშინსკის წიგნისა, და მეორეშიც რვა განყოფილებიდან
მარტო ერთი ჰგავს უშინსკისას, ისიც უმთავრესად გარეგნობით.
ჩემი სახელმძღვანელოები რომ მიბაძვას წარმოადგენდნენ და,
კეროვან თავისებურებას მოკლებულნი იყოს, ყოველად შეუძლე-
ბელი იქნებოდა ისე მალლა დაეყენებინათ იგი კომპეტენტურს,
მიუდგომელ პირებს: ქართველებს, რუსებს, ევროპელებს. მიბაძ-
ვით შედგენილი სახელმძღვანელო მეტ ნაკლებობით მოკლებუ-
ლია სულსა და გულსა, მასში არ ღვივის ცხოველ-ყოფილი
ნაპერწყალი, მოსწავლენი მას ყოველთვის გულგრილად ეპყრო-
ბიან, იგი ვერ უძლებს კონკურენციას და მოკლე დღე აქვს.

არავის მიმბაძველი არ ყოფილა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ხელით „დედა ენას“ სწავლას მოწყურე-
ბული მთელი ქართველი ერი წერდა და აქ ძვეს მისი დიდი შე-
მოქმედის თვითმყობადი ეროვნულობის ბალავერი.

ქართული დემოკრატიული პედაგოგიკა, როგორც მეცნიერუ-
ლი სისტემა, აღმოცენდა რეფორმის შემდეგდროინდელი საქარ-
თველოს ეროვნულ ნიადაგზე, როგორც ილია ჭავჭავაძის თაოსნო-
ბით გაშლილი ქართველი განმანათლებლების კოლექტიური შრო-
მის შედეგი. იაკობ გოგებაშვილის სახელთან დაკავშირებულია
საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების შემდგომი განვითარ-
ება და სრულყოფა, მისი როგორც მეცნიერული სისტემის ჩამო-
ყალიბება. იაკობ გოგებაშვილმა დაასრულა ქართული დემოკრა-
ტიული პედაგოგიკის მეცნიერული სისტემის ჩამოყალიბების
პროცესი. ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალი-
ბების სავესები ორიგინალური გზა და მისი ეროვნული ხასიათი
განაპირობებს ქართველ სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებლობა იდეებში, ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემისადმი
დაპირისპირებული სახალხო განათლების ეროვნული სისტემის
რეალურად არსებობის ფაქტმა და „ახალი ტიპის ქართველის“
აღზრდის აუცილებლობამ.

ყოველივე ეს გუშინ იყო.


მაგრამ, თავისი მდიდარი პედაგოგიკური მემკვიდრეობის დი-
დი ტვირთით ხელდაშველებულმა იაკობ გოგებაშვილმა თანამედ-
როვეობაში შემოაბიჯა.

იგი დღესაც ჩვენთან ერთად არის.

და შესაძლოა დღეს უფრო, ვიდრე გუშინ.

ეს შესაძლოა კიდევ იმიტომაც, რომ დღევანდელი ქართული
სკოლის გარდაქმნის გაღრმავების ძნელად სავალ გზებზე, ჩვენ
საგზაოდ ბევრჯერ გამოგვადგება ის, რაც იაკობ გოგებაშვილმა
გვიანდერძა.

უწინარეს ყოვლისა იმის თაობაზე, რომ მეცნიერულ-ტექნი-
კური რევოლუციის რთულ ეპოქაში, როცა ადამიანისათვის საჭი-
რო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება და უკ-
ვე შეუძლებელია მთავარი იმედი დაამყარო გარკვეული რაოდე-
ნობის ფაქტების ათვისებაზე, საჭიროა გამოვიმუშაოთ იმის უხა-
რი და ჩვევა, რომ შევძლოთ დამოუკიდებლად ვიმდიდრებდეთ
ცოდნას, ვიკვლევდეთ გზას მეცნიერული და პოლიტიკური ინ-
ფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში.



მოსწავლეს კითხვა უნდა ვასწავლოთ და მან უნდა ისწავლოს ეს: წაკითხულის აღქმა, გაგება-გააზრება, დამახსოვრება და გამოყენება.

არ არის ეს იოლი საქმე. ამიტომ სჭირდება დახმარება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, დიდსაც და პატარასაც.

ვის მოუხმობთ? იაკობ გოგებაშვილი:

— ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის კეშმარიტი ცოდნისა. სწავლებას, რომ იგი პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს, ყოველ სიტყვაზე თან უნდა ახლდეს სრული გაგება; სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიმძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა. მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა ღრმა შინაგან მხარეებს.

აი, ასე. სწავლება პედაგოგიური და განმავითარებელი უნდა იყოს.

ამისათვის კი აუცილებელია, ყოველი სიტყვის სრული გაგება, რაც ცოდნის შეგნებულად დაუფლებასა და ყურადღების განვითარებას უზრუნველყოფს და პირიქით. მხოლოდ ამ გზით, გაძლიერებული ყურადღების მეშვეობით, არის შესაძლებელი ჩაწვდეს ადამიანის გონება საგანთა ღრმა შინაგან მხარეებს.

ყოველივე ამის „მერე“ სწავლა უკვე ძნელია. „მერე“ შესაძლოა აქედან აღარც არაფერი გამოვიდეს.

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება. ცოდნის შეძენის უნარი და ჩვევაც წერა-კითხვის სწავლიდან იწყება.

„დღეა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შეილებისათვის“. ასეთი ვრცელი, განმარტებითი ხასიათის დასათაურება მისცა თავის პირმშოს იაკობ გოგებაშვილმა. სახალხო სკოლებისათვის განკუთვნილ ამ პირველი საკითხავი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა:

— წერა კითხვის სწავლა ჩვენ წიგნში დაკავშირებულია სურათებთანა. ამ სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც გამოხატულების ქვეშ არის დაბეჭდილი. საგნის შესწავლაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს მასზედ, რომ ბავშვები სიტყვების პაზრს, მნიშვნელობას, შინაარსს გონებას აღევნებდნენ, რომ სიტყვები მათ გონებაში აღვიძებდნენ საგნების სახესა, რომ იგინი არ მიეჩვივნონ უაზრო, მეხანიკურ კითხვასა. ფრაზების კითხვის დროს იგი უნდა ითხოვდეს ბავშვებისაგან ანგარიშსა, რაზედ არის ლაპარაკი და რა არის ნათქვამი.

ასორმოცდაათი წლის ასაკის იაკობ გოგებაშვილის დღევანდელ ცხოვრებას, რომელიც მის პედაგოგიკაში გრძელდება, უთუოდ აქვს თავისი დიდი გამართლება, ხოლო მის სიტყვას ჰყავს ქართველ მასწავლებელთა ფართო აუდიტორია.

იაკობ გოგებაშვილი: — ხარისხი მეთოდის სარგებლობისა პირდაპირ დამოკიდებულია მის მარჯვედ ხმარების სიადვილეზედ და უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვების გონებისათვის; თუ მისი ხეირიანი მოხმარება შეუძლებელია სპეციალურად მოუმზადებელ მასწავლებელთათვის.

და ისევ დღევანდელი მასწავლებლობის მრავალრიცხოვანი აუდიტორიისადმი მიმართული სიტყვები:

— დღევანდელ გაკვეთილზე აღქმული მასალა უნდა განმეორდეს მომდევო გაკვეთილებზე სხვადასხვა კომბინაციებში. ამის გარეშე შეუძლებელია მოსწავლის მეხსიერებაში ათვისებული მასალის მტკიცე ჩანერგვა.

ეს მართლაც გენიალური პედაგოგიური ფორმულა დღეს სრულიად ახალ შინაარსსა და მნიშვნელობას ღებულობს. ახალს იმიტომ, რომ აღქმული მასალის „სხვადასხვა კომბინაციებში“ გამოეორება უზრუნველყოფს არა მარტო შესწავლილის მტკიცედ დამახსოვრებას, არამედ შეძენილი ცოდნის ელასტურობას, მისი სხვადასხვა პირობებში, ვითარებებსა და გარემოებებში მოქნილად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ესოდენ აუცილებელია იმისათვის, რათა დავძლიოთ სტანდარტული, შაბლონური, განვლებული აზროვნების მომაკვდინებელი შედეგები და ფართო გზა მივცეთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, განათლებისა და გაჯანსაღებისათვის ესოდენ აუცილებელ ახლებურ აზროვნებას, ფსიქოლოგიას, მომწიფებული პრობლემების გადაჭრისადმი შემოქმედებით მიდგომას.

ამიტომ უნდა გახდეს აღქმული მასალის „სხვადასხვა კომბინაციებში“ გამეორება სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკის წესი, ნორმა, კანონი.

და იაკობ გოგებაშვილის სადღესო მნიშვნელობის კიდევ ორიოდ შეგონება:

— დღეა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებობის დაკავშირებული; იგი როდის გაეცა ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. დღეა ენა არის ძვირფასი საღარიბო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა. ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვებს აკავშირებს მთელის ქრის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. სადაც კი კეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დღეა ენა. სწავლება დედაენაზე, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა.

— მასწავლებლებს და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სამშობლო ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება არ აქვს მიზნად. დიდიხანია ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარაა ერისაო. ხოლო მოძღვრებას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუწევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დახატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში. რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მალღებოდა და ძალ-ღონით იესებოდა. რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რათა აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოამზადოს:

მომავლის საძირკველი სადღესო საზრუნავია და იგი დღეს უნდა მოვამზადოთ.

ხვალინდელი დღის სადღესო საზრუნავი. ეს ადამიანის დანიშნულება, მოვალეობა და მთავარი ფუნქციაა.

ყოველი ეპოქა, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული პერიოდი, ეტაპი, ხანა ადამიანის გარკვეულ ტიპს ქმნის, ზრდის და აყალიბებს კიდევ.

ისეთს, რომელიც მოწოდებულია გაამართლოს თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება.

ასე იყო მუდამ.

და ეს, ცხადია, იაკობ გოგებაშვილმა ძალზე კარგად იცოდა.

„ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის იდეა მისი პირმშოა.

როგორი უნდა იყოს იგი?

იაკობ გოგებაშვილი:

— ისეთი, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაელობება, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.

„ახალი ტიპის ქართველის“ სახვალოდ აღზრდის ამოცანა სადღესო საზრუნავია.

„ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის აუცილებლობა იმდროინდელი საქართველოს ისტორიულმა რეალობამ განაპირობა და სწორედ ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა გარემოებამ გახადა აუცილებელი ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც შეძლებდა ჩვენს მაშინდელ ცხოვრებაში ახალი პრინციპების დამყარებას, ჩვენს მაშინდელ საზოგადოებრივ სკოლებში ახალი მიმართულების შეტანას, რათა ჩვენს სამშობლოს ახალი ხანა დასდგომოდა. ისტორიული წარსულის კრიტიკულად შეფასება და ცხოვრების ახლებურად გარდაქმნისათვის ბრძოლის უნარის მქონე თაობა შეძლებდა ამ ამოცანის გადაწყვეტას.

ქართული დემოკრატიული პედაგოგიის რევოლუციური ხასიათი კიდევ უფრო ცხადი და აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით აღზრდის ხასიათის გარდაქმნა, რაც ცარიზმის „პედაგოგიური სისტემის“ საწინააღმდეგო სახალხო განათლების ეროვნული სისტემის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული, ხორციელდება კოლონიური რეჟიმის პირობებში დაძაბული, შეუნელებელი ბრძოლის გზით. ამ თვალსაზრისით, რევოლუციური ხასიათისაა არა მარტო ქართული დემოკრატიული პედაგოგიის თეორიული საფუძვლების გოგებაშვილისეული ხასიათი და შინაარსი, არამედ საერთოდ და მთლიანად XIX საუკუნის საქართველოს სახალხო განათლების ისტორია.

ირეპო, მთასა მყვირალო...



ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი თავისი მდებარეობის, ფლორისა და ფაუნის მიხედვით ერთ-ერთი უნიკალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი კავშირის მასშტაბითაც. მართალია, იგი 1935 წელს შეიქმნა, მაგრამ მას მეტად ხანგრძლივი, საინტერესო და შეიძლება ითქვას, სევდიანი ისტორია აქვს.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც ტყის მეურნეობის საკითხებს ყოველთვის სათანადო ყურადღება ექცეოდა. თამარ მეფის 1189 წლის სიგელებში მითითებულია „ტყის მცველნი“ და „ტყის მცველთუხუცესი“.

ისტორიულ წარსულში ბორჯომის ხეობა შედიოდა ე. წ. თორის მხარეში, თორის საერისთავოში, რომელიც აქ II-IV საუკუნეებში დაარსებულა. აქედან მოკიდებული საქართველოზე თავდატეხილი ყველა შემოსევა და ძნელბედობა თორის მხარეშიც გადაიტანა: ხაზარები, არაბები, მონღოლები, თემურ-ლენგი, სპარსეთი, დიდი თურქობა... XIV საუკუნიდან საქართველოში იწყება სათავადოების ჩამოყალიბება. XV საუკუნიდან თორის ხეობა და თორელები კარგავენ წინანდელ მდგომარეობასა და სახელს. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ამ დროს ბორჯომის ხეობაში იქმნება ავალიშვილთა სათავადო. ხეობის ნაწილს (გუჯარეთის ხეობა) კი ციციშვილები დაბატონებიან. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბორჯომის ხეობა, სამცხესთან ერთად, ოსმალებმა მიიტაცეს. მოსახლეობის ნაწილი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენი კი გამაჰმადიანების შიშით აყრილა და ზემო ქართლსა და იმერეთს შეჰხიზნია. მაგალითად, თუ XVI საუკუნეში საავალიშვილო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ყოფილა გადაჭიმული და 56 სოფელს ითვლიდა 1500-მდე კომლით, ხოლო 1595 წლისათვის, ე. ი. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ შედგენისას საავალიშვილოში დარჩენილა რაღაც თორმეტიოდე სოფელი, სადაც მხოლოდ 70-მდე კომლია ცხოვრობდა.

უქვევლია, ხანგრძლივი დროით მოსახლეობის აყრა-განზიზნა ხელს შეუწყობდა ნადირ-ფრინველის მომრავლებასა და ტყეების გაზრდა-გაფართოებას. ამიტომ უწოდებს ვახუშტი მტკვრის ამ ხეობას „ნადირიანს და ნადოვან-ფიჭოვანს“, სადაც „ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირნი მრავალნი“ ყოფილან. ერთი სიტყვით პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვერც მონათმფლობელური და ვერც ფეოდალური წარმოების წესმა აქაური უღრანი ტყეები და ცხოველთა სამყარო კრიზისულ სიტუაციამდე ვერ მიიყვანა. ამას ხელს უწყობდა მკვიდრი მოსახლეობის მაღალი კულტურაც და ბუნებრივი პირობებიც, რაც ფლორისა და ფაუნის აღდგენა-განახლებისათვის მეტად ხელსაყრელია. ხეობის ტყეებსა და ნადირ-ფრინველზე ადამიანის უარყოფითი გავლენის აშკარა კვალი სულ უფრო და უფ-




რო ღრმავდებოდა კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების კვალდაკვალ, რომელიც შედარებით მოგვიანებით დაიწყო.

1829 წელს რუსეთ-თურქეთის ზავით რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები — ახალციხე, ახალქალაქი, აბასთუმანი და სხვა. ამიერიდან ბორჯომის ხეობაში სიმშვიდე ჩამოვარდა. თავადმა ავალიშვილებმა მათი კუთვნილი ბორჯომის ხეობის დაბატონება დაიწყეს. 1832 წელს აქ მათ ბრეთიდან რამდენიმე კომლი ყმა-გლეხი ჩამოასახლეს, რომლებმაც დაიკავეს ხეობის მარცხენა ნაწილი ახალდაბიდან ქვაბისხევამდე, ხოლო ცარიზმის ხაზინა დაეპატრონა მტკვრის მარჯვენა მხარეს რვილიდან დვირამდე. 1830 წლიდან, ყოფილი თორის ხეობას ბორჯომის ხეობა ეწოდა და მისი ადმინისტრაციული ცენტრი ბორჯომი გახდა.

ამ დღიდანვე ცარიზმის მოხელეები ბორჯომის ხეობას კარგად გაეცნენ. მათ მალე და შეუცდომლად იცნოსეს მისი მთავარი სიმდიდრის — ტყის, ნადირ-ფრინველის, ჰავისა და იშვიათი მინერალური წყლის ფასი. ბუნებრივია, ამ ყურთხელ მხარეს ისინი ავალიშვილებს არ დაანებებდნენ. ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად საჭირო იყო მუშახელი, რაც თხლად დასაძლელ ხეობას აშკარად აკლდა. მეფის მთავრობამ ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ხაზინას ეკავა, პოლტავის გუბერნიიდან სასწრაფოდ ჩამოასახლა უკრაინელები და დაასახლკარა დაბაში. წალვერში, ბაკურიანსა და თორში.

1830 წელს რუსეთის მთავრობამ ბორჯომის ხეობაში მუშის ქარხნის აგება დაიწყო, რომლის მშენებლობისთვის თავიანთი ტყეებიდან ხის მასალის უფასოდ გა-



ცემაზე ავალიშვილებმა ხაზინას ცივი უარი უთხრეს, აქედან დაიწყო დავა მამული-სათვის ავალიშვილებსა და ხაზინას შორის, რომელიც ოც წელზე მეტი გაგრძელდა. ხაზინამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, მთლიანად ხელში ჩაეგდო ბორჯომის ხეობა, მაგრამ ავალიშვილები არასდროს არ თმობდნენ თავიანთ კანონიერ სამეკიდროს. ბოლოს ავალიშვილების წინააღმდეგ საქმე აღიძრა გორის სამაზრო სასამართლოში. რაკი ახალციხის საფაშოს მოშლა „რუსული იარაღის წყალობით“ (იქ ქართველობაც რომ იბრძოდა, ის დაივიწყეს!!!) მოხდა, ამიტომ ბორჯომის ხეობაც ხაზინის საკუთრება უნდა გამხდარიყო. ავალიშვილებმა წარმოადგინეს უარყოფითი საბუთ-სიგელები, რომელთა მიხედვით აშკარად მტკიცდებოდა, რომ წინაპართა სისხლით გაბოხიერებული ეს მამულები ათადანაბრად მათ საგვარეულოს ეკუთვნოდა. 1842 წელს გორის სამაზრო სასამართლომ მამული ავალიშვილებს არგუნა. მაგრამ განაწყენებულმა ხაზინამ არ დათმო ბორჯომის ხეობის თვალწარმტაცი და მეტად მდიდარი მამული — მან განაჩენი გააპროტესტა და საქმე სააბელაციოდ გადასცა სისხლისა და სამოქალაქო პალატას, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაეთანხმა გორის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. სწორედ ამ დროს კავკასიაში (1844 წ.) მეფისნაცვლად დაინიშნა მ. ვორონცოვი. ბორჯომი მის საზღვრულ რეზიდენციად იქცა. ახლოს გაიწიო რა ბორჯომის მინერალური წყალი, ნადირ-ფრინველით სავსე უღრანი ტყეები, ვორონცოვმა კარგად წარმოიდგინა ამ მამულების მნიშვნელობა ხაზინისათვის. ამიტომ დაინტერესდა და პირადად გაეცნო ავალიშვილებსა და ხაზინას შორის ატეხილი ბოლომოუღებელი დავის მასალებს. ვორონცოვმა უკადრისი პოლიტიკის გატარება განიზრახა: მან კარგად განჭვრიტა, რომ ავალიშვილებისათვის მამულის წართმევა უმეკველად გააღიზიანებდა მთელ ქართველ თავადობას. ამიტომ მამულის დათმობა უნდა მომხდარიყო თვით ავალიშვილებისავე ნება-სურვილით. ცბიერმა მოხელემ საქმე ისე წარმართა, რომ 1851 წელს ავალიშვილებმა მართლაც თვითონ მიმართეს მას თხოვნით — ხაზინას გადასცემოდა მათი საღაო მიწები, რომლის სანაცვლოდ ისინი მოითხოვდნენ მემკვიდრეობითი პენსიის დანიშვნას წელიწადში 5 ათასი მანეთის (ვერცხლით) ოდენობით. მათი თხოვნა უშლა დააკმაყოფილეს. ამრიგად, 1852 წელს დამთავრდა დავა ხაზინასა და ავალიშვილებს შორის. ბორჯომის ხეობაში ავალიშვილთა სათავადო სამუდამოდ მოიშალა. ხეობას მთლიანად ხაზინა დაეპატრონა.

1869 წელს დაარსდა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელი ბორჯომი იყო. ამ სამმართველოს პირველი მმართველის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ა. რემერტის თხოვნით იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ბორჯომის მინერალური წყლებისა და დაბის მოწყობისათვის 24 000 მანეთი გამოყო, რაც 1870 წელსვე მთლიანად აუთვისებიათ. მოკლედ, ბორჯომი რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში პირველხარისხოვანი სამკურნალო და დასასვენებელი ცენტრი გახდა.

1871 წლის სექტემბერში ალექსანდრე II-მ ბორჯომი იხანულა. როგორც იმდროინდელი წყაროებიდან დასტურდება, იმ-

პერატორსა და მის ამაღლას ბორჯომის ტყეებში უნადირიათ. რუსეთის მონარქი მეტად ნაამები დარჩენილა. არაჩვეულებრივი მიღებითა და იშვიათი სანახაობებით აღფრთოვანებულს, ბორჯომის სანახაონო (ყოფილი ავალიშვილების!!!) მამული... თავისი ძმისთვის მემკვიდრეობის უფლებით უბოძებია. რაც 1872 წელს სენატს დაუმტკიცებია კიდევ.

1892-96 წლებში დიდი მთავრის მემკვიდრემ ნიკოლოზ მიხეილის ძემ ლიკანში ძვირფასი სასახლე და უზარმაზარი პარკი აიშენა. კეთილმოწყობილი სასახლეები და პარკები საქმარისი არ იყო რომანოვთა მოდემისა და მათი სტუმრების გართობა-დასვენებისათვის. ლიკანის პარკის მიდამოების მტკვრისპირა ტყის ზოლი საგანგებოდ შემოღობეს, სადაც მომრავლებული ჰყავდათ შველი და ირემი. ეს კეთილშობილი ცხოველები აქ თუ თვალის გასახარად გაუშვეს, სამაგიეროდ მალა, ტყეში, იქ, დღეს რომ ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაა, საგანგებო სამონადირეო მეურნეობა იყო შექმნილი, სადაც ნადირობის უფლება მხოლოდ მათ უდიდებულესობებსა და ძვირფას სტუმრებს ჰქონდათ.

ხშირად ეს სამონადირეო მეურნეობა ლიტერატურაში ბორჯომის სამონადირეო ნაკრძალის სახელწოდებითაცაა მოხსენიებული. აქ კავკასიური ე. წ. კეთილშობილი ირმის გარდა შემორჩენილი ყოფილა არც ისე დიდი ხნის წინათ მტკვრის ხეობისათვის „მრავალანი“ (ვახუშტი) ნიამორი. დიდი მთავრის დროს, 1888-90 წლებში აქ გაუშვიათ აგრეთვე ჯიხვი. უნებართვო ნადირობის აღკვეთის მიზნით დღევანდელი სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე შემოუსაზღვრავთ 3 ათასი დეკეტინა ფართობი და 1877-78 წლებში მ. რომანოვს ჩამოუყალიბებია ეგერთა შვიარალებული რაზმები — სულ 29 კაცი. მათ ჰქონიათ ფორმის ტანსაცმელი, იარაღი, ხელფასი. ეგერებში ქართველებთან ერთად 6 რუსი და ორი ოსი ყოფილა. დიდ მთავარს არარუსებისათვის რუსული ენის სწავლებების მიზნით მასწავლებელიც კი დაუქირავებია. ნაკრძალის უფროსად გერმანიიდან ჩამოუყვანიათ ბუნებისმეტყველი, ვინმე იუნტერი. გასული საუკუნის მიწურულს დიდი მთავრის სამონადირეო ნაკრძალს უძღვებოდა გრენადერთა შტაბს-კაპიტანი ა. კალინოვსკი, რომელსაც შეუდგენია და 1900 წელს პეტერბურგში გამოუცია ფოტოალბომი — „კავკასიის ნადირობანი“. ალბომში ასახულია ნადირობის ტრფილის, მიხეილ რომანოვის „საქმენი საგმირონი“. დიდი მთავარი და მისი ამაღა გადაღებულია მათ მიერ უმოწყალოდ ამოუჭყული ნანადირევს (ირმები, გარეული ღორები და სხვა) ფონზე. ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილია ნანადირევი 18 სული კავკასიური ზარირემი დიდი რქებით.

1917 წლის თებერვალში რომანოვების თვითმპყრობელობას ბოლო მოელო. რუსეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვმა ბორჯომი დატოვა.

1918 წლის მარტში საქართველო თურქეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთის ჯარები ყაჩაღურად შემოიჭრნენ ახალქალაქისა და ახალციხის სანახებში, რის გამოც ათი ათასობით მკვიდრმა მოსახლემ მიატოვა კერა და ბორჯომის ხეობას შეეხიზნა. საქართველოს მთავრობამ თურქი დამპყრობლების შესაჩერებლად ბორჯომის ხეობაში ჯარებს მოუყარა

თავი. ამან უმძიმესი ზარალი მიაცენა აქაურ ფაუნას: ჯარისკაცებმა აქაურ ფაუნას დღეს თურმე 700 (შვიდაჲ) თურმე წოქეს ლეს!!!

1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც რომანოვების სამემკვიდრეო მამულს ბორჯომის სახელმწიფო მამული ეწოდა და საქართველოს მთავრობის მიწათმოქმედების კომისარიატს დაუქვემდებარა. მამულის გადასაბარებლად შეიქმნა კომისია, რომელმაც მუშაობა 1918 წლის აპრილიდან დაიწყო. მაგრამ ბორჯომის სამეფისნაცვლო მამულის ყოფილ მმართველს ვინმე პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინს კომისიისათვის უთქვამს, რომ 7 მარტის კანონის გამოქვეყნებამდე ნ. რომანოვმა თავისი მამული გერმანელ პრინცს მიჰყიდა და ახლა საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს იგი სახელმწიფო ქონებად გამოაცხადოსო. მაგრამ ამ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტები თბილისში მყოფ გერმანიის სამხედრო მისიას არ დაუფასტურებია. მაშინ კომისიას მამულის მთელი ქონება აუწერია და მიწათმოქმედების კომისარიატისათვის გადაუბარებია. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბორჯომის ტყეები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

1935 წელს რომანოვების ყოფილი სა-ნადირო მეურნეობისა და სხვა წვრილი სა-ნაკრძალო უბნების ბაზაზე შეიქმნა ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ფართობი ამჟამად 18 ათას ჰექტარს აღწევს.

ნაკრძალის მისია მეტად რთული და საპატია: უნიკალური ფაუნის დაცვა, აღდგენა და გამრავლება. აგრეთვე ენდემური ჯიშებისაგან შემდგარი ტყის მასივების შენარჩუნება, რომლებიც ამავე დროს არეგულირებენ ამ რაიონის წყლის რეჟიმს.

საკმაოდ მრავალფეროვანია ნაკრძალის ცხოველთა სამყარო. მის მდინარეებსა და ლეღეებში ბინადრობენ კალმახი, მტკვრის წვერა, აგრეთვე ტობი, ციმორი, ფიჩხულა, ჰანარი, თაღლითა და სხვ. წყალხმელეთა ცხოველთა სია 9 წარმომადგენელს ითვლის, რომელთაგანაც მცირეაზიური ტრიტონი, კავკასიური სალამანდრა და კავკასიური ჯვრიანა წითელ წიგნშია შეტანილი. ქვეწარმავლებიდან ბორჯომის ხეობაში რეგისტრირებულია 15 სახეობა. ფრთოსნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ კრავიჭამია, მთის არწივი, ორბი, სეაგი და კავკასიური როჭო, რომლებიც, სამწუხაროდ წითელი წიგნის ბინადარი გახდნენ. ნაკრძალში რეგისტრირებულია 22 სახეობის ძუძუმწოვარა ცხოველი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კავკასიური ირემი, შველი, არჩვი, ფოცხვერი, მურა დათვი, მგელი, მელია, კურდღელი, მაჩვი და სხვები. ბორჯომის ნაკრძალი ირმის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილსამყოფელია საქართველოში.

ნაკრძალში დიდი ხანია მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. მაგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ნაკრძალების სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების საკოორდინაციო საბჭოს მიერ 1988 წელს ქ. ორჯონიკიძეში გამართულ სემინარზე ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში რეზო ბიბილაშვილი წარსდგა საინტერესო ნაშრომით — „ბუნების მატანის წარმოების მეთოდები ბორჯომის

სახელმწიფო ნაკრძალში, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და საბჭომ გადაწყვიტა ეს მეთოდი საკავშირო მასშტაბითაც დანერგოს.

ნაკრძალის კოლექტივი 45 მუშაკისაგან შედგება. აქედან 26 ეგერია, რომელთა კისერზე გადადის ყველაზე მძიმე და სახიფათო საქმიანობა: დაუნდობელ ბრაკონიერებთან და მოულოდნელ ხანძრებთან ბრძოლა, სხვადასხვა სახის სატყეო-სამეურნეო სამუშაოები. დარსა და ავდარში ფენით სიარული, ღამის ტყევა, თიბვა, ნადირის ბილიკებზე ქვამარლის გაშლა, ეპრა მოსთვლის!...

ოქტომბრის სისხამი დილაა. ავტომანქანა „კოლმეურნე“ ქვევით დავტოვებ და ფენით ვავუყევით ნაშიან ბალახებში ჩაკარგულ ბილიკს, რომელიც თანაბრად მიიწევს მთის მწვერვალისკენ. წინ ნაკრძალის თავკაცები მიგვიძღვიან. თბილისელი სპეციალისტები — ამიერკავკასიის ტყეთმომწყობის საწარმოს ტყეთმომწყობის პარტიის უფროსი ჭემალ ჯაფარიძე და ინჟინერ-ტექსტორი კარლო ელაშვილი ხშირად გადადიან ბილიკიდან და დავკვირვებით ამოწმებენ თითოეულ ბუჩქსა და ხეს, კორომებს. მათ მეტად რთული საქმე ავალაიათ: ტყის თვალზომიერი აღწერა და დახასიათება. ათი წლის წინ მათ მიერვე ჩატარებულ ანალოგიურ გამოკვლევასთან შედარება, ცვლილებების აღმოჩენა და სასარგებლო ღონისძიებებთან დასახვა. სანიმუშოდ დახაზულ სქემაზე, რომელსაც ისინი დროდადრო გულმოდგინედ ჩასტკეირაან, ნაკრძალის ყოველი კუთხე-კუჩქულია მონიშნული. სავსე ჩანთა სავსე აქვთ შევუღმფრენიდან გადაღებული დიარონი ფოტოსურათების დასტებით. ბუნების ეს ორი ქომაგი აქ ექვსთვიანი მივლინებითაა და მთელ დროს ფაქტიურად უსიერ ტყეში ატარებენ. საქმეში ჩაუხედავ კაცს ეს ყველაფერი შეიძლება უსარგებლოდ ანდა მოსაბუზრებლად მოეჩვენოს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით! ფაქტიურად ამ ორი დაულალავი სპეციალისტის პატიოსნებაზე, პროფესიონალიზმსა და ობიექტურობაზე ბევრად არის დამოკიდებული ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტყეების და აქედან გამომდინარე, მთელი ფაუნის მომავალი ბედ-იღბალი. მწვანე საფარს ნადირფრინველებზე ნაკლები ყურადღება როდი სჭირდება. ეს ნაკრძალის მიახლოებისთანავე იგრძნობა: ვეებერთელა, ილუსტრირებული დაფა იუწყება, რომ უკვე იშვიათობას წარმოადგენს და სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ წითელ წიგნებშია შეტანილი უთხოვარი, დათვის თხილი, უხრავი, ქაცვი, წაბლი, ხარის შუბლა, კავკასიური ასტრაგალი, გლერძი, ელიფსური თელადუმა. ჩვეულებრივი ჯონჯოლი. მალამთის მუხა, მინდვრის ყვითელი ზამბახი...

უკვე ღომის მთაზე ვართ, საიდანაც ყოველ მხარეზე განსაკვირებელი ხედები იშლებიან. წიწვიანი ხეები კვლავ ძველებურად ნირუცვლენი დგანან, ფართოფოთლებიანებისა და ბალახეულისათვის კი პირველ სიცივეებს უკვე თვალშისაცემად შეუტყვევებია ფერი.

— შარშან ოთხი ირემი მგლებმა შეგვიჭამეს — ერთის ჩონჩხი აი, ამ ადგილას ვიპოვეთ. — ამბობს ბიბილაშვილი და წესისა და რიგის მიხედვით ასახელებს ტყის ბინადართა რაოდენობას.

მეცნიერ-მუშაკის განმარტებები შინაგა-

ნად ჩემზე, როგორც ნაკრძალში პირველად მოხვედრილზე, რალცნაირად ორნაირ და თანაც ერთმანეთის საპირისპირო განცდებს იწვევს: როცა გამეფებულ სიჩუმეს უმნიშვნელო ფაჩუნ-ლაწუნიც კი არ არღვევს და ამ ხნის მანძილზე სულიერი არაფერი შეგვფეფებია, ვერ დამიჯერებია, რომ ამ მღუმარე სანახებში ბინადრობს 720 ირემი, 230 სული შველი, ათობით არჩვი, დათვი, მელა, ტახი, მგელი, ფოცხვერი, მაჩვი... მაგრამ იმავე წუთში საპირისპირო განცდა მეუფლება: ეს დაურღვეველი სიჩუმე და უსიცოცხლო გარემო მხოლოდ მოჩვენებითაა და რომ ეს უნაკლოდ მოვლილი და საიმედოდ დაცული პირველყოფილი დაბურული ბუნება თავის იდუმალი უბეში მალავს ძვირფას განძს, რომელსაც უცხოს ასე ადვილად არ აჩვენებს. და უცებ ყოვლად გულუბრყვილო და სასაცილო სურვილი მეებადება — სადმე ხშირ ტყერში მივაგნო ქორბუდას, კურთხეული ქედი მოვუფხანო, მოვუალერსო და ვკითხო: ირემო, მთასა მყვირალო, როგორა ხარ — რა გიჭირს, რა გილხინს?

— მისმენთ? — მეკითხება ნაკრძალის დირექტორი ლევან გოცირიძე, რაკი შემატყო, რომ უცებ ფიქრით სულ სხვაგან გადავდი და გამიწყდა გულისყურის ძაფი, — ეპ, საჭირბოროტო პრობლემებს რა დაგვიღვეს! აი, თუგინდ ეგერთა ხელფასი ავიღოთ — ოთხმოცდაათ მანეთს არა სცილდება! ეგერს, რომელსაც თავი სასიკვდილოდ გადაუღია, ამაზე მეტი ხელფასი როგორ არ უნდა მისცე?

— ბრაკონიერობის შემთხვევები შეინიშნება?

— შეინიშნებაო?! ჰმ! შეინიშნება კი არა, არ გვეპუებიან, ძალდაძალ მოდიან... თუ გაუჭირდათ, არც სასიკვდილოდ გვინდობენ!

— რას ამბობთ... ნუთუ?

— რაღა „ნუთუ“? — ჩაერთა ერთი წვერგაუპარსავი, კარაბინაგადაკიდებული ეგერი, — ერთი ირმის მოკვლისთვის ათასი მანეთი ჯარიმა და სამიდან ხუთ წლამდე ციხეა. ჰოდა, ვინც ირმის მოკვლას განიზრახავს, ის სხვა ყველაფერზეც მიდის! ამ ორიოდვე წლის წინ ბრაკონიერთა ჯგუფი მივატანეთ დანაშაულზე. არ დაგვენდნენ... დანებებას ვილა ჩიოდა — აქვთ შემოგვიტყვი და სროლა აგვიტყხეს. რაღა გეპქა — ჩვენც ვისმარეთ იარაღი. ვახურდა ორმხრივი სროლა. ერთი მათგანი დაიჭრა, დანარჩენები კი გაიქცნენ... ის დაჭრილი ახლაც მგონია საავადმყოფოშია, საქმე კი გამოძიებაშია და არ ვიცი, ბოლოს ეს ყველაფერი რით დამთავრდება.

მძიმე, უსიამოვნო დუმილი ჩამოწვა.

— მოკლედ, მარტო ჩვენი ძალებით უნაკლოდ ვერ მოუვლით ნაკრძალს, თუ ფართო საზოგადოებამაც არ დაგვიჭირა მხარი. — შენიშნა ლევან გოცირიძემ, — არადა, ამ მხრივ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დონე და კულტურა მეტად დაბალია: თავიანთი ყინი და სურვილი კი მოიკლან და არაფერს დაგიდევენ! პირდაპირ გული ჩამწყდება ხოლმე და ოცნებად გადავიქცევი, როცა პრესიდან შევიტყობ — დასავლეთის ამა თუ იმ მრავალმილიონიან ქვეყანაში მთელი წლის განმავლობაში ბრაკონიერობის ორი-სამი შემთხვევა თუ აღირიცხა.

საუბარმა ნაკრძალის ტერიტორიულ მთლიანობაზე გადაინაცვლა.

— ესეც ერთ-ერთ ყველაზე საშინ და

მოუგვარებელ პრობლემად გადაიქცა, განაგრძობს ნაკრძალის დირექტორი, საქმე ისაა, რომ უშუალოდ ნაკრძალში რიტორიაზე რამდენიმე სწრაფად მიმდინარე მეთურნობის კუთვნილი მცირე ნაკვეთები შემორჩენილი და შეჭრილ-შემოჭრილი. ასეთი აბსურდული გარემოება კი ამ მეურნეობათა წევრებსა თუ მწყემსებს უფლებას აძლევს ვითომ თავიანთ კუთვნილ სავარგულში, ფაქტიურად კი ნაკრძალის სანახებში თავიანთ ნებაზე იარონ, აძოვონ საქონელი.

— ვის გაუგონია, სად თქმულა, რომ სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე შენაურ საქონელს მწყემსავდნენ?! — შესძახა ნაკრძალის მთავარმა მეტყვევმა აკაკი შენგელიამ, — მაგალითად, თურქულით ან სხვა რომელიმე ინფექციური სენით დაავადებული საქონლისაგან დასნებოვანებულ საძოვარზე ღამით ახლა შეგელმა და ირემმაც რომ იბალახოს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება — შეიძლება სენი მთელ ნაკრძალშიც გავრცელდეს და პირწმინდად გავგიწყდნენ ჩლიქოსნები.

პირდაპირ გასაკვირია: ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჯერ კიდევ 1968 წლის 8 ოქტომბერს მიუღია დადგენილება — „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე გაფანტულად მდებარე საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთების ნაკრძალისათვის გადაცემისა და მიწათსარგებლობის მოწესრიგების შესახებ“. მას აქვთ 22 წელია გასული, მაგრამ ეს დადგენილება დღესაც არ არის შესრულებული. ვინ არის დამნაშავე?..

შემოდგომის მოკლე დღე თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა. ბანისხევის სატყეოს კოპწია საყარაულო სახლში ცოტა შევისვენეთ, მსუბუქად ვივანშეთ და მერე ისევ გზას გაუვლექით. შავსერს რომ მივალწიეთ, უკვე კუნაბეტი ღამე ჩამოწვა და ფარანით მოგქებნეთ ხეჭკუელი, რომელზეც უხმაურად ჩამოვსხედით და ყველანი სმენად გადავიქცეთ. მთელი დღე მთის ბილიკებზე სიარულისაგან დაღლილსა და დაუძლეველი სურვილისაგან შეპყრობილს ლოდინი მეტისმეტად ხანგრძლივი და თანაც უშედეგო მეჩვენა. ბოლოს მოთმინებამ მიმტყუნა და ეს ყველაფერი ილუზიად მივიღე, რომელსაც მერე ნაკრძალის მეუფენი ჩემი უიღბლობით ახსნიდნენ.

აი, ამგვარი შინაგანი განსჯით ვიყავი შეპყრობილი, როცა მოულოდნელად — ვერ მიხვდებოდი კი აქვე ახლოს თუ სადღაც შორს — ეინაშლილი ხარირმის გამძვინვარებული ყვირილი ქუხილივით გაისმა ხეობაში. გამოგიტყუებთ, მოულოდნელობისა და შიშისაგან ყრყოლვამ დამიარა — ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მომისმენია და განმიცდია.

— დაიწყო. — წაიჭურჩულა ვიღაცამ და სიბნელეში ხელზე ხელი მომიჭირა.

სიჩუმე, რომელიც ისევე მოულოდნელად ჩამოვარდა, როგორც წედან დაირღვა, დიდხანს არ გაგრძელებულა: უფრო მძლავრად და ყინიანად გაისმა ფურჩინამონატრებული ხარის გამბული ბლავილი, რომელიც... თუმცა აქ წერტილი უნდა დავსვა ვინაიდან ჩემს შესაძლებლობებს მეტისმეტად აღმატება იმ ღამეს ხარირმის ყვირილით აღძრული განცდა-გრძნობების დაახლოებით გადმოცემა კი — ეს ყველაფერი შენი ყურით უნდა მოისმინო და თავისებურად აღიქვა.

ჯემალ მახარიშვილი



ყვარულით გულანთებული ჰაბუკი ფილიმონ ქორიძე. ამ პერიოდიდან იწყება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობაც. **ქართული**
 „22 წელიწადი იმღერა ზანე პირველი პარტიები ევროპის, ამერიკისა და რუსეთის საოპერო თეატრების საუკეთესო სცენებზე“ (ყურნალი „მოგზაური“ № 34, 1905 წ. 18. IX). გასტროლებზე იყო ესპანეთში, ამერიკასა და საფრანგეთში. ქართველი მომღერლის საშემსრულებლო ხელოვნება, მისი ვოკალური მონაცემები აღფრთოვანებდა სხვადასხვა ქვეყნის მსმენელს.

მაგრამ მაინც მთავარი, როგორც იტყვიან, თავი და თავი მისი მოღვაწეობისა, ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის მოვლა-პატრონობა გახლდათ და აკი მთელი სიცოცხლე დაუშურებლად, გულმხურვალედ მიუძღვნა მას კიდევ.

ფილიმონ ქორიძე პირველი ქართველი იყო იტალიელთათვის, პირველი და არაჩვეულებრივი! ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი თანამემამულე იტალიაში მიდის სასიმღერო ხელოვნების დასაუფლებლად. ფილიმონს ხვდა წილად ბედნიერება პირველს გაეცნო უცხოელთათვის საქართველო, ქართული სასიმღერო ხელოვნება. წლების შემდეგ ეს საპატიო მისია „საქართველოს ბულბულს“ — ვანო სარაჯიშვილს ერგო წილად. ფილიმონის მიერ დაწყებული კარგი ტრადიცია დღესაც გრძელდება. იტალიაში გაიარეს სტაჟირება მომღერლებმა: ნოდარ ანდლულაძემ, გულნარა ქართველიშვილმა, ზურაბ სოტკილაძემ, ლიანა კალმახელიძემ, თემურ გუგუშვილმა, ალექსანდრე ხომერიკმა, პაატა ბურჭულაძემ, მარიცა მაღლაფერიძემ...

მიუხედავად შემოქმედებითი წარმატებებისა, ფილიმონი სულ უფრო ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე, და აი, 1880 წელს, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ქართველი მომღერალი სამშობლოში ბრუნდება.

„ხელოვნებაში საქართველოს ფალავანი“ — ასე უწოდებდნენ მას. იმღერა ოპერებში: „ნორმა“, „რიგოლეტო“, „ბალმასკარადი“, „რახილი“, „სევილიელი დელაქი“, „ფრიკელი ქალი“, „გალკა“, „აიდა“, „რუსლან და ლუდმილა“, „ასკოდის საფლავი“, „ივან სუსანიანი“. მისი სიმღერა, მისი საშემსრულებლო ხელოვნება მსმენელთა ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევდა.

საქართველო ფოლკლორი

ეს იყო 1829 წელს. გურიის სოფელ საჯავახოს მახლობლად, გამოჩინებულის მთაზე, მღვდელ იაკინთე ქორიძის ოჯახს ვაჟი შეეძინა. ყმაწვილს ფილიმონი დაარქვეს, მრავალყამიერი უსურვეს და გზა დაულოცეს.

...ძველი თბილისი. 80-იანი წლები. აქ მუსიკალური ცხოვრება ჩქეფს, მუსიკით სუნთქავს დიდი და პატარა. ჩამოდიან რუსი და უცხოელი შემსრულებლები, კომპოზიტორები, პედაგოგები, იღვმება მ. გლინკასა და ა. ვერსტოვსკის, ა. რუბინშტეინისა და იტალიელ ავტორთა ოპერები. ამავე პერიოდთანაა დაკავშირებული პ. ჩაიკოვსკის დაახლოება საქართველოსთან. და მაინც, იმხანად ჩვენში ეროვნულ პროფესიონალ-მუსიკოსთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო.

სწორედ ამ დროს საქართველოს მოევლინა იტალიაში უმაღლესი მუსიკალური განათლებით აღჭურვილი, სამშობლოს სი-

ეთერ ლონდარიძე



ქართული გალობა

ლიტერატურა
 თანხე ოქრობისა, მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის
 ქალაქი
 ვლადიმერ ქორიძის შვილი



ფილიმონ ქორიძის სასცენო მოღვაწეობა, სამწუხაროდ, ნაკლებად აისახა იმდროინდელ ქართულ პრესაში. მხოლოდ გაზეთი „დროება“ გამოეხმაურა ჩვენს თანამემამულეს იტალიური ჟურნალებიდან გადმოთარგმნილი ორიოდ წერილით. აი ისინიც:

„ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ეს ღირსეული ოსტატი. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის ასრულებდა ძნელსა და შესანიშნავ როლს მეფის ფილიპისას ოპერაში „დონ კარლოსი“. ჩვენმა ჟურნალებმა და ყველა კორესპონდენტებმა ერთხმად აღიარეს ბატ. ქორიძის ნიჭი, ჩინებული მანერები და ბეჯითობა ამ დრამატულ და მუსიკალურ როლის შესრულების დროს...

არ არის ჩვენში (იტალიაში) ისეთი თეატრი, რომელსაც დიდის ამბითა და პატივით არ მიეღოს ჩინებული ბოხი ხმის პატრონი მომღერალი არტისტი ფ. ქორიძე. და არც ისეთი ჟურნალი, რომელსაც არ ექოს ის. სხვათა შორის, იმან იმღერა მილანის „სკალას“ თეატრში, სადაც შარშან იმან მშვენივრად შეასრულა მძიმე როლი მეფე ფილიპ II-ისა ოპერა „დონ კარლოსში“, („დროება“ № 68, 1880 წ. 28/III).

„ბატონი ქორიძე ისეთი არტისტია, რომლის მიზიდვასაც თეატრის მებატრონეები ახლა, როდესაც ასეთი სიძვირეა კარგი ბოხი ხმის მქონე მომღერლებისა, უნდა ცდილობდნენ; იმას აქვს ხმა მაღალი, დიდებული და ამასთან ძალდაუტანებლად ამწევი მაღალი ნოტებისა. მილანის მცხოვრებლებმა დააფასეს ეს თვისება ბატ. ქორიძის ხმისა, როდესაც ამ ერთი წლის წინათ ის მღეროდა ლასკალას თეატრში ოპერაში „აფრიკელი ქალი“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საცა არ უნდა იმღეროს ამ ჩინებულმა არტისტმა, ყველგან ისე მოიწონებენ, როგორც ჩვენში მოსწონთ და მოწონება თანდათან იმატებს, რაც უნდა მძიმე როლის შესრულება იკისროს იმან ოპერაში“ („დროება“ № 50, 1880 წ. 6/III).

1883 წელს, ფ. ქორიძე შემოქმედებითი მოღვაწეობის გაფორმების პერიოდში, ყველასათვის მოულოდნელად თავს ანებებს საოპერო მომღერლობას და დიდი გატაცებით იწყებს შემკრებლობით საქმიანობას — საგალობლებისა და ხალხური

სიმღერების ნოტებზე ჩაწერას. 5500 საგალობელი და ხალხური სიმღერა ჩაიწერა. დაკარგვას გადაარჩინა ერის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი განძი და მადლიერი შთამომავლობას შემოუნახა.

თავის სამოღვაწეო ასპარეზს თვითონაც კარგად გრძნობდა. ამას მისივე სიტყვებით მოწმობს: „საოპერო ასპარეზმა დროებითი კმაყოფილება მომცა: ვამაყობდი, რომ მე, ქართველმა კაცმა, ჩვენი ქვეყანა ვასახელებ, ტაშს მიკრავდნენ, წერდნენ სახელოვანი კაცი ხარო. შემდეგ კი დაფიქრდი და დავინახე, რომ გამოჩენილი მომღერლის წარმატება და ბედიც დროებითია, წარმავალი. დღეს ხელით მატარებენ, მადიდებენ. მოვკვდები — ჩემი ხსენებაც გაჭკრება, ჩემი კვალიც არ დარჩება ჩემს ქვეყანას, შთამომავლობას ვერაფერს ვერ დაუტოვებ. ჩემი დღევანდელი მუშაობა კი — საზოგადო მოღვაწეობაა, შინაარსით სავსე, ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო და საჭირო. ჩემი ნამუშევარი ჩაწერილი და დაბეჭდილი არასოდეს არ წაიშლება და ჩვენს ქართულ მუსიკას მაღლა აიყვანს, სხვა ქვეყნების მუსიკას გადააჭარბებს და მომავალ ოპერებს ფუძედ დაედება! არ იფიქროთ, რომ ჩემი თავის ქება მინდოდა! არა! ჩემს სიტყვებს ჩემი ჩაწერილი და იმ პატიოსანი ყმაწვილის, კერესელიძის ხელით გადაწერილი რვეულები ამოწმებენ“.

მართლაც, არ შეიძლება ნახო ფ. ქორიძის მიერ ჩაწერილი და ექვეთიმე კერესელიძის, მისი ყოფილი მოსწავლის ხელით გადაწერილი ქართულ საგალობელთა ზღვა მასალა (დაცული საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში), და არ განიმსჯვალო მოწიწებისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით ამ ამაგდარი ადამიანების მიმართ.

ფ. ქორიძის ეს დიდი თაოსნობა — იმ დროს საგალობელთა აღდგენა და ხალხური მუსიკალური საუნჯის შეგროვება, ერთგვარად ეპოქამაც განაპირობა. იგი ხომ ილიასა და აკაკის თანამედროვე იყო, და უღაოა, „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა მასზეც დიდ გავლენას იქონიებდა. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით თვითონ ფილიმონი: „და თუ ბოლოს და ბოლოს ქართული მუსიკის უცვლელად შენახვას შევუდექი, მეტ წილად მელიტონის (მელიტონ ბალანჩივაძე) და ჩემი მეგობრების — აკაკის, გიორგი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის რჩევა-წაქეზებისა; მერე გავბედე და ამ გამბედაობის დაფასება მომავალი თაობის საქმეა“...

დიდია ფ. ქორიძის დამსახურება აგრეთვე როგორც პედაგოგის და საზოგადო მოღვაწისა ათეული წლების განმავლობაში, ყოველგვარი ანგარების გარეშე იგი უსასყიდლოდ ასწავლიდა მუსიკის ანბანს და სიმღერას ქართველ ახალგაზრდებს, პრესაში აქვეყნებდა საინტერესო წერილებს ეროვნული მუსიკის მნიშვნელოვან საკითხებზე (მუსიკის თეორიის სახელმძღვანელოც კი გამოცა!), აყალიბებდა ვოკალურ ანსამბლებსა და გუნდებს, მართავდა კონცერტებს... სადაც კი კარგი ვოკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდას მოუსმენდა, ურჩევდა — დაემუშავებინა ხმა: „საოპერო ხმა გაქვს! ისწავლე, კარგი მომავალი მოგეღოს! გასწავლი, უფასოდ გასწავლი, ოღონდ ისწავლე!“

„...ქართული გალობა-სიმღერის და მუ-

სიკის საქმე, კარგის გაძლოლით კარგად წავა, თუ დაწყება მოხერხდა, მაგრამ დწყებაა ძნელი უსაშვალობისა ვიმე... ნაც ყველა საზოგადო საქმის... თვით საზოგადოებაა, ამისათვის მუშაობ... თავ ყველა ქართველთ საზოგადოებას და ვთხოვ შემოსწირონ ცოტათონი წვლილი ამ საქმის დაწყებისათვის. ნურავინ ითაკილებს თითო ორ-ორი აბანის შეწირვას, რადგანაც ცოტასაგან ბევრი შესდგება და საქმეც გაჩაღდება. მოინდომეთ, გააჩაღეთ ეს სიმღიდრე მამულისა, არ შეგაწუხებთ მისი ხარჯი, საქმე მხოლოდ სურვილისაა. შესწირეთ ცოტა წვლილები, ცოტათონი გროშები, საქმე აღსდგება, ბრწყინვალედ თავს დაადგება დროშები, — მოუწოდებდა ფილიმონი ყველას. და კვლავაც, უკვე ოთხმოც წელს გადაცილებული, სოფლიდან სოფელში, დარსა თუ ავღარში, ფისგარმონით დაიარებოდა. „ურემს ქირობდა, თვითონ ხშირად ფეხით მისდევდა. რომელიმე სოფელში მივიდოდა და ან ადგილობრივ მასწავლებელს ან მღვდელს მიადგებოდა. მათი დახმარებით ადგილობრივ მომღერლებს გაიცნობდა, გალობასიმღერის ამბავს გამოჰკითხავდა, ამღერებდა; შემდეგ სადმე, უფრო კაკლის ან ცაცხვის ქვეშ, ფისგარმონიას გაშლიდა და გაგონილ კილოს იწერდა. სოფლები ძალიან უწყობდნენ ხელს ფილიმონს, თვითონ მოჰყავდათ მოხუცები, სიმღერის მცოდნენი, ცხენს უშოვნიდნენ, ურემს...“

ნოტებზე გადაღებული სიმღერებით დატვირთული, ნასიამოვნები და გახარებული ფილიმონი გზას გაუდგებოდა ხოლმე, — იგონებს მისი ვაჟიშვილი, ცნობილი რეჟისორი მიხეილ ქორელი.

„სულის მოთქმის დრო არა გვაქვს. რაც ჩაწერილია ეს ერთი მესხედიც არ არის იმისა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს. მრავალ საგალობელში მხოლოდ მუსიკას ვხედავ, ღრმა და ძლიერ მუსიკას, დინჯსა და აზრიანს. ზოგი საგალობელი მთელი სიმფონიის თემაა. რაც ჩაწერილი მაქვს, მომავალ ქართულ ოპერებს ფუძედ უნდა დაედოს. მასში მომავალი და თანამედროვე მუსიკოსები ისეთ არაჩვეულებრივ, მოულოდნელ და ახალ პარმონიზაციას, რიტმსა და ჰანგს შეხედებიან, რასაც სხვა ხალხების მუსიკაში ვერ ნახავენ. ამ მასალით ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები თავის შემოქმედებას ახალი ფერებით გააშუქებენ. თუ ვიცოცხლე და ნამდვილ ქართულ ოპერას ველირსე, ბედნიერი ვიქნები“, — იტყოდა ხოლმე ფილიმონი, და კვლავაც ინტენსიურად განაგრძობდა საგალობელთა ჩაწერას. მასალა უხვად დაგროვდა, საჭირო იყო მისი დაბეჭდვა. მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. იტალიაში გაპარვაც კი სცადა უკვე საქმოდ მსახურება, მაგრამ...

ერთ-ერთი ჩაწერის დროს, ბახმაროს გზაზე მიმავალს გულმა უტიტყუნა. შეწყდა ამაგდარი მამულიშვილის მაჩისცემა. მაგრამ მისი დაწყებული საქმე ცოცხლობს. დღეს ქართული მუსიკალური კულტურა აღმავლობის გზაზეა. ახლა, როგორც არასდროს, ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული სამემსრულებლო და შემოქმედებითი ძალების მომზადების, მათი პროფესიული დაოსტატების საქმეს. ქართული მუსიკა, ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები კარგა ხანია საერთაშორისო ასპარეზზე გავიდნენ...

საქართველო თუ საზოგადოებრივი?

სამკურნალო პრეპარატების წარმოებისთვის ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებამ ჩვენს ეპოქაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რაც კაცობრიობის კანონიერ შეშფოთებას იწვევს. ამიტომ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან უდიდესი მასშტაბის მოძრაობა დაიწყო, რათა პრაქტიკულ მედიცინაში თავისი ღირსეული ადგილი დაეკავებინა მცენარეს, რომელსაც ქიმიურ ნივთიერებებთან შედარებით ზოგიერთი უპირატესობა ახასიათებს და არც საშიშ უსუფიერებებს იძლევა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ჩვენი კორესპონდენტი ამ პრობლემების ირგვლივ ესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოგნოზის კათედრის გამგეს, პროფესორ ლინა ერისთავს.

ქალბატონო ლინა წლების მანძილზე მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი არის სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საკავშირო საპრობლემო და სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს მეთოდური კომისიების წევრი, თბილისის ფარმაცევტული სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტის წევრი.

— ქალბატონო ლინა, ქიმიური ნივთიერებისაგან დამზადებულ წამლებზე გულაყრილი პაციენტები ბოლო დროს არა მარტო ბევრს ლაპარაკობენ მცენარით მკურნალობის უპირატესობაზე, არამედ ხშირად თვითმკურნალობას და ექიმბაშებზეც მიმართავენ. როგორია თქვენი აზრი?

— დაავადების დიაგნოსტიკა, რეცეპტის გამოწერა, წამლის დამზადება და მკურნალობა ადამიანის ცოდნის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი დარგია, რომელსაც მხოლოდ სპეციალისტი ფლობს.

ხალხური მედიცინის საშუალებების უკონტროლოდ გამოყენება, თვითმკურნალობა ან

ექიმბაშე მინდობა საშიშია. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბერძნული სიტყვა „ფარმაკონ“ წამალსაც ნიშნავს და საწამლავსაც, ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბევრჯერ მოუპარტავთ სასოწარკვეთილებამდე მისულ მოქალაქეებს, თვით ექიმებსაც კი, რომელთაც არ ძალუძოთ ავადმყოფის გადარჩენა, თუ იგი მოწოდებულია უცნობი მცენარით, ან ისეთით, რომლის ქიმიური შედგენილობა არ იციან და ამის გამო, ცხადია, ვერც სწორი მკურნალობა დაუნიშნავთ, მაგრამ რაც ეთქვი, განუყოფად არ უნდა გავრცელდეს ყველა ხალხურ სამკურნალო საშუალებაზე, ვინაიდან არსებობს საუკუნეების მანძილზე გამოცდილი მცენარეები, ან ორგანული და მინერალური წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც უდავოდ მაღალეფექტურია და ოფიციალურ მედიცინაში მათი დანერგვისათვის სისტემატურად უნდა ვზრუნავდეთ. ამ მხრივ, ვფიქრობ, ბევრ სიკეთეს კიდევ მოგვიტანს საქართველოს და განსაკუთრებით მისი მაღალმთიანი რეგიონების თვითმყოფადი ხალხური მედიცინის ღრმა მეცნიერული შესწავლა.

მცენარის ფენომენი 80-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში ძალზე მნიშვნელოვანი გახდა. ასეა საქართველოშიც. ამიტომ ჩვენი, მედიცინის მსახურთა დევიზი და სურვილი ასეთია: უცნობი რეცეპტურის გამოსვლენად და შესასწავლად დაინტერესებული მეცნიერები და სახალხო მკურნალები ერთმეორეს უნდოთ და კეთილსინდისიერად ვითანამშრომლოთ!

— რას გვეტყოდით ხალხური მედიცინის როლზე, კონკრეტულად თანამედროვე ქართულ ხალხურ მედიცინაზე?

— ხალხური გამოცდილება, მკურნალობის მისი უნიკალური მეთოდები და რეცეპტურა ახლაც „ჰკვებავს“ მეცნიერულ მედიცინას. მისგანაა „ნასესხები“ ისეთი ნივთიერებების მცენარეული წყაროები, როგორიცაა სტრაფანტუსი და დიგიტალისის ჯგუფის გლიკოზიდები კოკაინი, ქინაქინი, მარფინი და მრავალი სხვა. ურომლისოდაც წარმოუდგენელია მედიცინის მიღწევები. ცნობილია, რომ ქინაქინის მიღებამდე ყოველ-

დღიურად ათასობით ადამიანი იღუპებოდა მალარიით. არანაკლები რაოდენობით ავადდებოდნენ და იხოცებოდნენ მცენარეულ ვიტამინებს მოკლებულ რეგიონებში მცხოვრები ან ექსტრემალურ პირობებში მყოფი ადამიანები. თუ არა საქართველოს ბუნების ნობათ-საკვები და „მწვანე აფთიაქის“ სამკურნალო მცენარეები, არ გვეყოლებოდა ჯანმრთელი და ასე ღლებოძელი მოსახლეობა.

საქართველოში ხალხური მედიცინის განვითარების ისტორია ისეთივე ძველი და სასახელოა, როგორც საერთოდ ჩვენი ქვეყნის ისტორია. მცენარე საუკუნეთა განმავლობაში იყო წამლის ძირითადი წყარო. საინტერესოა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დავალებით თერაპიის, ნევროპათოლოგიის, მეან-გინეკოლოგიის, სტომატოლოგიისა და კანის დავადებათა გამოჩენილი სპეციალისტების მონაწილეობით (მასში მეც ვმონაწილეობდი), ჩატარებულ იქნა საქართველოს ხალხურ მედიცინაში ამჟამად გამოყენებულ 6000-მდე რეცეპტის კრიტიკული ანალიზი. ამ რეცეპტების კომპონენტთა ბოტანიკური, ქიმიური და ფარმაკოლოგიური ნიშნების მიხედვით კლასიფიცირების შედეგად აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ხალხურ მედიცინაში ხმარებულ საშუალებათა 75-80 პროცენტი მცენარეული ნედლეულია. კომენტარი ზედმეტია. ღრმა მეცნიერული კვლევისათვის მათგან ჩვენ შევარჩიეთ 80-ზე მეტი პერსპექტიული სახეობა. იმედი გვაქვს, რომ ახლახან შექმნილი ხალხური მედიცინის ასოციაცია, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, ხელს შეუწყობს კვლევის გაფართოებას და უკვე დაგროვილი უტყუარი გამოცდილება-შედეგების რეალზაციას. ამისათვის კი აუცილებელია არა მარტო თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზენი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და ხალხური მედიცინის მარგალიტები ძიება. არამედ საჭიროა იმ პირობების დაინტერესებაც, რომლებიც ტრადიციულად ფლობენ წამლების დამზადების საიდუმლოს, იციან საუკუნეობით

შემოწმებული ეფექტური სამკურნალო მცენარეები. ასეთ ადამიანებს მიზიდვის მიზნით უნდა შეფუქმნათ რაიმე სახის გარანტიები და წავახალისოთ.

ამასთან, გარდატეხა უნდა მოხდეს თვით ჩვენს ფსიქიკაშიც. ყოველი ადამიანის ვალია, მეცნიერი იქნება თუ სახალხო მკურნალი, თავისი ცოდნა და გამოცდილება ერის სამსახურში ჩააყენოს.

— რას იტყვით ფარმაკოგნოზაზე, მის სადღეისო ამოცანებზე?

— ფარმაკოგნოზია მედიცინის უძველესი სფეროა, თუმცა მეცნიერულ დისციპლინად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა. ესაა მეცნიერება სამკურნალო საშუალებათა წყაროებზე, განსაკუთრებით მცენარეებზე. ფარმაკოგნოზია სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როცა დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი. ადამიანს ყოველთვის ჰქონდა საზრდოს მოპოვებისა და სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტი. ამიტომ იყო, რომ პირველყოფილი ტომები ადგილობრივ ფლორაში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ ახალ-ახალ საკვებსა და სამკურნალო მცენარეებს. ბევრი ასეთი სახეობა ხალხურმა მედიცინამ არა მარტო შემოგვინახა, არამედ ღრმად შესწავლის ობიექტი გახადა, რის შედეგადაც გამდიდრდა სამკურნალო საშუალებათა არსენალი.

ფარმაკოგნოზის კათედრას საქართველოში 1921 წელს ჩაეყარა საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის განყოფილების სახით. მალე იგი დამოუკიდებელ კათედრად გამოეყო და ამჟამად სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ექვემდებარება.

ჩვენი კათედრის მეცნიერული, სასწავლო, მეთოდური მიმართულებები შექმნეს აკადემიკოსმა ი. მ. ქუთათელაძემ, პროფესორებმა ვ. ი. ებოლმა, ვ. ი. შოთაძემ. მათ ტრადიციულ ეროვნულად აგრძელებს კათედრის ამჟამინდელი შემადგენლობა.

დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში მცენარისა და ფოტოთერაპიის ირგვლივ ასეთი ბუმი, პროვიზორ-ფარმაკოგნოზის მეტად დიდი მისია აქისრია.





საქართველოს
გეოგრაფიული
სამეცნიერო
ცენტრი

ფოტო: ხანდაძე

ბაქალავტი



ვიტორგი გუგუჩკორი



ცნობილია, რომ სინთეზური და ორგანული წარმოშობის პრეპარატებისაგან განსხვავებით მცენარისაგან დამზადებულ წამალს იშვიათად ახასიათებს გვერდითი მოვლენები და გართულებები, შორეული შედეგებიც ნაკლებად აღსანიშნავია. ამას თავის ახსნა აქვს. ადამიანის ორგანიზმი საუკუნეების მანძილზე შეეჩვია მცენარეულ ნივთიერებებს და მის შხამსაც შედარებით იოლად იტანს. საერთოდ კი, უდიდესია მცენარით მკურნალობის — ფოტოთერაპიის პოტენციური შესაძლებლობები, რადგან მცენარეს ახასიათებს მოქმედების ფართო სპექტრი: ტკივილგამაყუჩებელი, მატონიზირებელი, კარდიოტონული, ჰიპოტენზიური, ანთების საწინააღმდეგო, სეკრეციის გამაძლიერებელი, სისხლის ღენის შემაჩერებელი, საჭინოს მონელების ხელის შეწყობი, ამოსახველებელი, ბაქტერიოციდული და სხვა. ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ 1978 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 31-ე ასამბლეამ დაამტკიცა საგანგებო პროგრამა, რომელიც მცენარიდან მიღებული წამლების გამოკვლევასა და ფართოდ გამოყენებას ეხებოდა. და ეს ბუნებრივია, ვინაიდან მცენარე გვევლინება სხვადასხვა ქიმიური შენაერთის შემცველ უნიკალურ, ჰემოარტად ამოუწურავ წყაროდ, რასაც ფართოდ გამოყენება აქვს ადამიანის მოღვაწეობის მრავალ სფეროში და მათ შორის მედიცინაშიც. მცენარე ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც შესწევს უნარი არაორგანული ნივთიერებები გარდაქმნას ორგანულ ნივთიერებად. მცენარეში სინთეზირებული ეს ორგანული ნივთიერებები ხასიათდებიან ფარმაკოლოგიური მეთოდებით, ამიტომ სადღეისოდ მედიცინაში გამოყენებული პრეპარატების თითქმის ნახევარს სწორედ მცენარე გვაძლევს. თუმცა მცენარის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არაა სრულად გამოვლენილი და გამოყენებული. ეს მილიანად ეხება საქართველოს ფლორასაც.

— თუ შეიძლება მცენარეულ კვლევით მუშაობას ცოტა ვრცლად შევხეთ.

— საქართველოს სამკურნალო მცენარეებს გვემაჯობიერად და მიზანდასახულად სწავლობს რამდენიმე მეცნიერული კოლექტივი, მათ შორის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოგნოზის კათედრა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ჩვენი მეცნიერული მუშაობის უპირველესი მიზანია ახალ-ახალი სამკურნალო მცენარეების გამოვლენა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების

გამოყოფა და მათი სტრუქტურის დადგენა ეფექტური სამკურნალო საშუალებების შექმნის მიზნით. უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეცნიერული კვლევის სფერო: გულდასმით ვსწავლობთ მცენარეში მიმდინარე ბიოსინთეზის პროცესებზე ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენას, გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ფარმაკო-ბოტანიკური ანალიზის მეთოდების სრულყოფას, პერსპექტიული მცენარეების რესურსების შესწავლას, ნედლეულის ხარისხის კონტროლს, სტანდარტიზაციას და სხვა.

ბოლო წლებში მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს ძირითადად ოთხი მიმართულებით. ესენია: პირველი — საქართველოს ფლორაში სტერილდული შენაერთების მცენარეული წყაროების ძიება. მეორე — მედიცინისათვის მეტად საჭირო და დეფიციტური მყარი ცხიმების სამამულლო მცენარეული ნედლეულის გამოვლენა და შესწავლა რბილი წამლის ფორმების ფუძედ გამოყენებისა და მათი ნომენკლატურის გაფართოებისათვის. მესამე — მრავალსაუკუნოვანი და მეტად მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ხალხური მედიცინის საგანძურის მეცნიერული შესწავლა. მეოთხე — საქართველოს საკვები და სამკურნალო მცენარეულობიდან ერთი მხრივ მატონიზირებელი სასმელების შექმნა, ხოლო მეორე მხრივ კი მათი არატრადიციული, გამოუყენებელი ნაწილებისაგან საყუათო და ჯანმრთელობის პროფილაქტიკისათვის საჭირო საკვების წარმოება კოსმოსსა თუ სხვა ექსტრემალურ პირობებში მყოფი მომხმარებლებისათვის.

თუმცა თვითოეული ეს პრობლემა იმდენად რთულია და აქტუალური, რომ ისინი უკვე ცალკე საუბრის თემაა.


— ეკოლოგიური გაუარესება რა გავლენას ახდენს მცენარეზე და აქედან გამომდინარე, მისგან დამზადებულ სამკურნალო პრეპარატზე?

— ეკოლოგიური კრიზისი „მწვანე აფთიაქსაც“ დაემუქრა. ცნობილია, რომ გარემო ხელს უწყობს მცენარეში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაგროვებას. მათთან ერთად, სამწუხაროდ, გაჭუპყიანებული გარემოს მეოხებით მცენარეში ხვდებიან მეტალური მიკროელემენტებიც — ტყვია, თუთია, სტრონციუმი, სინდიცი, კალიუმი და სხვ. ბევრ მათგანი კი ასეთი მცენარისაგან დამზადებულ პრეპარატებშიც გადადის და მკურნალობის ნაცვლად ზიანს მოუტანს ადამიანს. კარგად უნდა გვანსოვდეს, რომ დარღვეული ეკოლოგიური გარემო მნიშვნელოვნად ცვლის მცენარის ბიომასას, მორფოლოგიას. ანატომიას, ქიმიას და რაც მთავარია, ადამიანის ორგანიზმზე მისი მოქმედების უნარს. ამიტომ უნდა ვერიდოთ სამკურნალო მცენარეების დაკრეფას ისეთ ზონებში, რომლებიც ეკოლოგიურად „დაუცველია“ მაგალითად, ავტოსტრადებისა და რკინიგზების გაყოლებით, საბადოებისა და მსხვილი სამრეწველო ქარხანა-კომპლექსების სიახლოვეს. თუ გვინდა, რომ არ გავაჩანაგოთ ბუნება, მცენარე რაციონალურად უნდა განვიყენოთ. განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება დამზადების წესებს. მცენარის ყველა ორგანო უნდა შეგროვდეს დაწესებულ ვადებში, თანაც ისე, რომ მცენარეს რეპროდუქციის საშუალება არ მოეუფსოთ. აუცილებელია, უზრუნველყოთ ნაზარდების ექსპლუატაციის რიგითობა და რაციონების მონაცვლეობა. ასევე დაცული უნდა იქნეს დამზადების ნორმებიც, ვინაიდან გვეგმების გადაჭარბებით შესრულებამ აქაც შექმნა ბევრი მცენარის დეფიციტი. თვითგარემო გვკარნახობს, რომ უნდა გაძლიერდეს მოთხოვნა ზოგიერთი სახეობის ლიცენზირებულ შეგროვებაზე და რეგონების მიხედვით დაწესდეს სპეციალიზაცია. საქართველოს მთავარი საფთიქო სამმართველო ყოველწლიურად 10-15 სახეობის დამზადებით იფარგლება, ხოლო გეგმა რომელიმე, ანდა რამდენიმე სახეობის დამზადების ხარჯზე სრულდება. თვითკრიტიკით უნდა ვალიარო, რომ ჩვენც ვალში ვართ პრაქტიკული ფარმაციის წინაშე.


ჩვენ მეტი დახმარება უნდა გავუწიოთ საფთიქო ქსელს სამკურნალო მცენარეთა ახალ-ახალი არეალების დადგენითა და მათი მარაგის ზუსტი აღრიცხვით. და რაც მთავარია, გულდასმით უნდა შევისწავლოთ ოფიციალურ მცენარეებთან ახლოს მდგომი სახეობების ქიმიური და ფარმაკოლოგიური მონაცემები, რათა მათ ხარჯზე მნიშვნელოვნად გავზარდოთ ნედლეულის ბაზა.

— როგორ გესახებათ სამომავლო საქმეები?

— როდესაც ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, უნდა გვახსოვდეს, რომ მას ასევე ძლიერი ფარმაცეპტული მრეწველობა სჭირდება. სამომავლო საქმეს კი დღეს უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. ხომ მდიდარია საქართველოს ბუნება, მაგრამ მისი რესურსები მაინც არაა უღევი. აუცილებელია მცენარეების სამრეწველო პლანტაციების შექმნა საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ-გეოგრაფიულ ზონაში.



ფოტო ზურაბ დათუაშვილისა.



ფოტოეტიული მარინე უტიაშვილისა.

ვილიუსში თეთრი ლამები იდგა...
დაღლილი მუსიკოსები უხალისოდ უკრავდნენ რომელიღაც ზანგურ მელიოდის. ბარში კანტიკუნტად შემორჩენილები უფრო სასმელს მისძალებოდნენ, მუსიკისათვის აღარავის ეცალა. ბარი საცაა მუშაობას დაამთავრებდა...

— ერთი კონიაკი! — ანიშნა ბარმენს დახლთან მალალ სკამზე შემომჯდარმა გოლიათმა.

ლიმილშეუღწევი, ფერმკრთალი სახის ბარმენმა მოხდენილად ჩამოასხა კონიაკი და ჭიქა კლიენტის წინ დახლზე დადგა.

მსოფლიოს ნებისმიერი კუთხისა და რეჟლის ბარმენები საკმაოდ კარგი ფსიქოლოგებიც არიან, განსაკუთრებით განვითარებული აქვთ პიროვნების შეცნობის უნარი. ასე, მაგალითად, ბარმენი იშვიათად თუ შეცდება თავისი კლიენტის ვინაობის დადგენაში, ლოთია ის და უკანასკნელ კაპიკებს ხარჯავს თუ სქელებიანი და გართობა-ფათერაკების მაძიებელი. ბარმენი თითქმის შეუცდომელი ადამიანია. დიახ, თითქმის შეუცდომელი, ვინაიდან ჭეშმარიტად შეუცდომელი ამ ჭეყანაზე არავინ გაზღავთ.

მოგვხსენებთ, ბარმენიც ჩვეულებრივი მოკვდავია. ისეთივე, როგორც შეიძლება იყოს ინჟინერი, მკერავი, დალაქი ან კლუბის გამგე. ისიც მოგვხსენებთ, ალბათ, რატომ მოსდის ადამიანს შეცდომა? დიახ, ეს ძირითადად ტვინის განუვითარებლობით არის გამოწვეული, მაგრამ სხვა მიზეზიც არსებობს. კაცმა შეიძლება ობიექტური რეალობის გრძობა დაკარგოს, გაყოყორდეს, გადაიღალოს, ყურადღება მოაღუნოს ან დაიბნეს.

საერთოდ ცნობილია, რომ ადამიანს დაბნევა სჩვევია, როცა რაიმე უცნაურს, იდუმალს, გაუგონარს შეეფეთება. როგორც ჩანს, უფრო ხშირად სწორედ დაბნეული ადამიანი ცდება.

ჩვენი ბარმენიც სწორედ მაშინ გახლავთ განსაკუთრებით აფორიაქებული (თუმცა სახეზე მღელვარების ნიშანწყალიც არ ეტყობა), როდესაც ვერ არკვევს, ვინ იმყოფება მის წინ. დახლის მოპირდაპირე მხარეს: ღატაკი თუ შდიდარი, პროფესორი თუ თაღლითი, პოლიციელი თუ მსახიობი. ამიტომ არის, რომ ბარმენი, ვინმე უცნობს თუ შენიშნავს დახლთან, ცდილობს, ზედმეტი პეწის გარეშე შეასრულოს თავისი მოვალეობა და საჭიროზე მეტად არავის შეეჩხროს თვალში.

— ერთიც — ასწია თითი ბარმენის ამოუცნობმა გოლიათმა, სიგარეტს მოუკიდა, ზანტად შემობრუნდა და დარბაზს გადახედა.

მკრთალი ფერებით განათებულ დარბაზში ძლივს გაარჩევ რაიმეს, თუ ბუნებას მახვილი მხედველობით არ დაუჭილდობებიზარ და მაინც... უცნობის ყურადღება რაღაცამ მიიპყრო...

— ყავა. — მოკლედ მიუგო ბარმენს.

წამოდგა, წელში გასწორდა და გრძელი დარბაზისაკენ გაემართა.

მალე უკან დაბრუნდა ორი ქალიშვილის თანხლებით და ბარმენს დამატებითი განკარგულება მისცა:

— ორი ყავა, ორი შამპანური. — მერე ჭიქა ასწია და ალერსიანი ღიმილით მიუბრუნდა ქალიშვილებს:

— გაგიმარჯოთ!

ბარმენი გამხიარულდა, მის გულში სიმშვიდემ დაიბუღა. რებუსი სულ უბრალოდ გაშიფრა:

„გასართობად ჩამოსული ქალების მოყვარული, ფულით გატენილი ტომარაა!“ — დაასკვნა მან. მაგრამ ჩვენი ბარმენი მხოლოდ სტატიორი გახლდათ და ამიტომ გამოცდილი კოლეგების რჩევა-დარიგება გაახსენდა უცებ — „შეცდომას მაშინ უშვებ, როცა ყველაფერი ცხადზე უცხადესი გგონია“.

ამის გახსენებაზე ბარმენი მოიღუშა, აღტაცება საგრძნობლად გაუწელდა, სამაგიეროდ ინტერესი გაუძლიერდა და სმენად იქცა.

სამწუხაროა, რომ ბარი მალე დაიკეტება, რატომ ვერ შევნიშნე აქამდე თქვენისთანა ანგელოზები?! სინანულით წამოიძახა აღტაცებულმა უცნობმა.

ქალიშვილებს სახე გაეხადრა.

— ჰო, მართლა, გავიცნოთ ერთმანეთი... მე გიორგი მქვია, თქვენ?!
ქალიშვილები ოდნავ შეიშმუშნენ.

— ჩვენ სტუდენტები ვართ, კაუნასიდან ჩამოვედით სესიებზე. — დაზეპირებულივით მიაყარა გიორგის უფრო გაბედულმა, დაბალმა, მკვიცვლმა თვალუბაცეებულმა ქალიშვილმა. — მე ნიოლა მქვია, ჩემს ამხანაგს — რეგინა!

რეგინა თითქოს შეკრთა, ვარდისფერმა გადაუარა სახეზე.

ფრთხილი კაცია ბარმენი, ფრთხილი და დაკვირვებული, მაგრამ ტელეპატს ხომ მსოფლიოში ყველაზე ფრთხილი და დაკვირვებული ბარმენის აზრების შეტყობაც შეუძლია. ტელეპატი კი ბარმენის მღუმარებას ასე გაშიფრავდა:

„ჰმ, სტუდენტები, კაუნასიდან... მამა უცხოდაა!“

ესეც კარგი ბრიყვია, ვილაცაა, ვერა ხედავს, ვისთან აქვს საქმე, მაგანაც პრინციები გაიცნო რაღა?..“

— რატომ არ მიირთმევთ შამპანურს, ხომ არაფერი გაწყენინეთ? — არ აკლებდა ყურადღებას ქალიშვილებს გიორგი.

— იცით, — კვლავ ნიოლამ ითავა გამოპასუხება, — ჩვენ კონიაკი გვირჩევენია!

— მოგიკვდეთ ჩემი თავი! — შეწუხდა გიორგი, მყისვე ბარმენს გასძახა.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — შეეკითხა მამაკაცს ნიოლა.

— მე ქართველი ვარ, თბილისელი.

ქალიშვილებმა დაიჭიჩქილეს. გიორგიმ მხიარულების მიზეზი ვერ გაიგო და გაკვირვება გამოეხატა სახეზე.

— ჩვენ ებრაელი გვეგონეთ, ქართველს

არა ჰგავხართ! — კისკისით წარმოთქვა ნიოლამ.

— ვითომ? მე კი ღღემდე მეგონა, რომ ქართველსა ვგავდი, სინანულით ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა გიორგიმ.

— რას ამბობთ! ქართველები უფრო სხვანაირები არიან, — არ ცხრებოდა ნიოლა, — კეხიანი ცხვირები აქვთ, ცეცხლოვანი თვალები, აქცენტიც...

გიორგიმ საჭიროდ ჩათვალა, რომ საუბრის თემა გამოეცვალა.

— კონიაკი, ყავა, — შეახსენა ბარმენს. თხუთმეტ წუთში ბარი იკეტება! — დაუყოვნებლივ გამოაცხადა ბარმენმა.

— რეგინა, თქვენ რატომ მოიწყინეთ, ძვირფასო? — მიუბრუნდა გიორგი მალალ, შავგვრემან მომხილავ ქალიშვილს...

რეგინას ნიოლა გამოეკომაგა მაშინვე: — ხვალ გამოცდა აქვს ჩასაბარებელი, ძალიან ღელავს!

— ერთად სწავლობთ? — დაინტერესდა გიორგი.

— ჰო, კი, უცხო ენების ინსტიტუტში, ინგლისურზე.

— სასიამოვნოა! — ინგლისურად მიუგო გიორგიმ.

ნიოლამ ხმაშეშვით გადაიკისკისა.

— იცით, — განაგრძო გიორგიმ, — შესანიშნავია, რომ შეგხვდით. ერთ დროს კარგად ვფლობდი ინგლისურს, თავისუფლად ვლაპარაკობდი. მაგრამ ხომ იცით, პრაქტიკის უქონლობის გამო ცოტა გადამაფიწყდა. ხანდახან წიგნებს ვკითხულობ, მაგრამ განა წიგნების კითხვა საკმარისია, თუ არავის გამოელაპარაკე? ენის შესწავლა დაახლოებით იგივეა, რაც პიანინოზე დაკვრის სწავლა. როგორ შეძლებ დაკვრას, თუ ინსტრუმენტი არ გაგაჩნია. ნუთუ გგონიათ, საკმარისია მხოლოდ წიგნების კითხვა? — ბოლო წინადადება ინგლისურად წარმოთქვა გიორგიმ.

ნიოლა ისე ხარხარებდა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, რეგინა ნიოლას მისჩერებოდა, ბარმენი — ნამწვავებით გატენილ საფერფლეს...

„არა, აქ რაღაც სხვა ამბავია! შეიძლება ეს გოლიათი ქართველიც კი იყოს (რა არ ხდება), მაგრამ ინგლისურად ლონდონური აქცენტით ლაპარაკობს! ხომ არ შევატყობინო ბიჭებს?!“

— ქალიშვილებო, მოდით, ასე ნუ დავამთავრებთ ჩვენს ნაცნობობას, ავილოთ კონიაკი და ჩემთან გავაგრძელოთ საუბარი. აქვე ვცხოვრობ, სასტუმრო „ნერინგაში“, — შესთავაზა გიორგიმ ქალიშვილებს. — მაგნიტოფონიც მაქვს, ლუქსი მიკავია. მუსიკასაც მოვუსმენთ და ხელსაც არავინ შეგვიშლის.

ქალიშვილებს აშკარა თანხმობა არ განუცხადებიათ, მაგრამ არც უარი უთქვამთ. გიორგიმ დანახარჯი გადაიხადა და ორი ბოთლი „კამიუ“ გამოართვა ბარმენს.

— ბოთლების წამოღებაში მე მოგეხმარებით, — ნაზი ღიმილით მიმართა ნიოლამ,



მოთხრობა

კონიაკი ჩამოართვა და ამით ოფიციალურობის ბარიერი დაარღვია.

ბარმენი უცნაური აზრებით იტანჯებოდა. „იქნებ სჯობდეს ორი სიტყვა ვუთხრა ამ ახმახს? მერუდა, რატომ? ჩემი ძმა არის თუ მეგობარი? თანაც არც ისე უბრალო ჩიტი ჩანს, ეგ ვილაკა!“

სწორედ ამ დროს გასასვლელისაკენ დაძრული გიორგი მისკენ შემოტრიალდა და გამომცდელოდ გაუყარა თვალი თვალში.

„ვეტყვი!“ — გაუელვა გონებაში ბარმენს. მაგრამ არ დასცალდა, გიორგიმ თვალი ჩაუკრა, ეშმაკურად გაუღიმა და გზა განაგრძო.

რასაკვირველია, ტელეპატი აუცილებლად შეიტყობდა, რისი თქმაც ეწადა ბარმენს ასე მოუთმენლად. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, დავემშვიდობოთ მას, გავყვეთ გიორგის და მოთმინებით ვადვენოთ თვალყური იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

ვესტიბიულში ნიოლამ რალაცა უთხრა გიორგის ჩურჩულით და თვალით საპირფარეოსაკენ მიმავალი გზის მაჩვენებელ აბრაზე მიუთითა.

კეთილი, მე აქ დაგელოდებით, — ღიმილით დაუკრა თავი გიორგიმ.

მაგრამ გიორგის სიტყვა ერთი ყოფილა, ხოლო საქმე...

მოეფარნენ თუ არა ქალიშვილები, გიორგი სწრაფად გამოეარდა შენობიდან გარეთ და ქუჩას სირბილით აუყვა. ბარს შემოუბრინა და უკანა მხრიდან სასამსახურო შესასვლელს მიადგა. სულის მოთქმა ვერც კი მოასწრო, რომ ღამის ბარის პატარა

კარი გაიღო და მის კრილში აქოშინებული ნიოლა და რეგინა გამოსხლტნენ...

შესაძლებელია, ვინმე კიდევაც არის დედაშიწაზე, ვისთვისაც სინანულის გრძობა უცხო ხილია, თუმცა ნაკლებად დასაჯერებელი.

აბა, რა ხასიათზე დადგება ვნებააშლილი მეთევზე, როცა დაჭერილი, ანკესზე წამოგებული თევზი ძუას გაწყვეტს და წყალში გააღენს ტყაპანს, ან თუ თევზის პოზიციიდან შევხედავთ, მისი სასოწარკვეთილება განვიცადოთ, როდესაც მსუქანი ჭიკაყელის მაგივრად ხახაში ბასრი ანკესი გაერჭობა.

— საით, ქალიშვილებო? — თითქოს მეხი გავარდაო, შემოესმათ გაოგნებულებს.

— ჩვენ... ჩვენ... — აღულლულდა თავზარდაცემული ნიოლა.

— რა, თქვენ? — მკაცრად იკითხა გიორგიმ, — იქნებ დამარწმუნოთ, რომ გზა აგებნათ...

ნიოლა ათას რაიმეს იგონებდა, სლუკუნებდა, იბოდიშებდა, რეგინა ხმას არ იღებდა...

გიორგი გაქვავებულიყო, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, გახელებული მზერა იმას მოწმობდა, რომ არავის დაინდობდა...

— მომეცი აქ ეგ კონიაკი! — შესძახა მან და ნიოლას ბოთლები ჩამოართვა. — ახლა დაიკარგე აქედან! ეცადე, სხვა დროს თბილისელს არსად გადაეყარო!

ნიოლა მოსწყდა ადგილს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

განგების ნებით, ბარმენი რომ ადგილზე აღმოჩენილიყო, არ გაოცდებოდა. მას კარგა ხნის შემჩნეული ჰყავდა ეს ორი კე-

ლუცი ქალიშვილი, რომლებიც მარტოხელა ბრიყვ მამაკაცებზე ნადირდებოდნენ და თუ მეტს ვერას გამოჩეობდნენ... მინც მიირთმევდნენ მუქთად. მართალია, ბარმენი არავის საქმეში არ ერეოდა, მაგრამ თავისდაუხებურად დაეხადა აზრი, ქართველი გაეფრთხილებინა, ვისთან ჰქონდა საქმე. თუ არ დასცალდა, ნუ გავამტყუნებთ ლიტველ ბარმენს. იმას მინც ხომ მიხვდა, რომ უცნობი ახმახი „ჩვეულებრივი ჩიტი“ არ ყოფილა?

ბარმენისათვის დასაბნევი და გასაკვირი ის იქნებოდა, ნიოლას გაქცევის შემდეგ რაც მოხდა...

— რა გქვია? — მკაცრად ჰკითხა გიორგიმ კედელთან ატუზულ რეგინას:

— რეგი...

— თავს ნუ იგდებ! — გახელდა გიორგი. — მე ქართულად გეკითხები, რა გქვია-მეთქი?

— ფატი...

— რომელი სოფლიდან ხარ?

— დუშეთის რაიონიდან...

გიორგიმ სიგარეტს მოუკიდა და ნერვიულად გააბოლა, მერე ისევ ქართულად მიმართა რეგინა-ფატის:

— გიჭირს?

ფატი ხმას არ იღებდა. თავი ჩაელუნა და ფრჩხილებს იკვნეტდა...

— აჰა, გამომართვი, — უთხრა გიორგიმ და გაძლიანებულს ზიზლით ჩასჩარა ხელში ხუთთუმნიანი. — გაჭირვებულ კაცს ერთ თვეს ეყოფა... მაგრამ გირჩევნია, ამ ფულით თვითმფრინავის ბილეთი აიღო და სახლში დაბრუნდე, არა მგონია, რომ სასამელ-საქმელი დაგამადლოს ვინმემ საქართველოში... თუმცა... გიშველება ვითომ აწი შენ რამე?

გიორგიმ ხელი ჩაიჭინა და უხალისოდ, დინჯად გაემართა სასტუმროსაკენ.

უცებ მოუნდა, კონიაკის ბოთლები სადმე მიემსხვრია, მაგრამ გადაიფიქრა. იგრძნო, რომ გულზე მოწოლილ სევდას ახლა მაგარი სასმელის მეტი ვერაფერი გაუფანტავდა. კიდევაც გაუხარდა, რომ ბარმენს სასმელი გამოართვა.

სასტუმროში დაბრუნებულმა, პირველ რიგში თბილისთან სატელეფონო ლაპარაკი შეუქმნა...


პასუხის მოლოდინში კონიაკის მოზრდილი ულუფა გადაკრა და ფიქრებში ჩაიძირა...

რატომღაც ბავშვობა გაახსენდა, პიონერთა სასახლე, იოსებ ნონეშვილთან შეხვედრა... მერე რამდენჯერმე ჩურჩულით გაიმეორა: „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“... საქართველო... არის... არის? არის!

გაბმული ზარის ხმა გაისმა...

— ნინო ხარ? გიორგი ვარ!... რაო... რა დროს ძილია! თენდება, ადამიანო! დღეს მოვფრინავ! ჰო... კარგი... ბავშვი როგორ არის? ჰა, უყურე მაგ მაიმუნს!

გიორგიმ ყურმილი დაჰკიდა, ფეხზე წამოდგა, გაიზმორა, გაეღიმა... კონიაკი დაასხა, პირთან მიიტანა, მერე რატომღაც დალევა გადაიფიქრა და ჭიკა მაგიდაზე დადგა.



აი, უეცრად, სრულიად მოულოდნელად გაისმის მიწისქვეშა გრუხუნის და ამბოხებული დედამიწა ირწყევა. მკვეთრი ბიძგებით მალა აგდებს და ნამსხვრევებად აქცევს ყველაფერს, რაც მასზე საუკუნეების მანძილზე მკვიდრად და მშვიდობიანად იდგა.

დედამიწის ზედაპირის უძრაობა არც ისე საიმედო და მარადიულია. სტატისტიკიდან ცნობილია, რომ ყოველწლიურად ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში 100 ათასამდე მიწისძვრა ხდება სუსტი ბიძგების ჩაუთვლელად და მსოფლიოს თითქმის ნახევარი მოსახლეობა ცხოვრობს მუდმივად მოსალოდნელი მიწისქვეშა კატასტროფული ბიძგების ზონაში, რომელიც ყოველწლიურად ათეულ და ზოგჯერ ასეულ ათასობით ადამიანთა სიცოცხლს იწირავს.

ათასეული წლების მანძილზე მომხდარმა მიწისძვრებმა ადამიანის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მიწისძვრის დაწყების წინ ცხოველები და მწერები ჩვეულებრივზე უფრო განსხვავებულად იქცეოდნენ, თითქოს წინასწარ გრძობდნენ თავიანთი უტყუარი ინსტინქტით მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებას და თავის გადარჩენას ლამობდნენ.

ჩინეთსა და იაპონიაში უძველესი დროიდან დიდად სჯეროდათ ბიოლოგიური წინასწარმალუწყებლობის, მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპასა და ამერიკაში ცნობებს ცხოველთა და მწერთა ბიომალუწყებლობის შესახებ ლეგენდებს აკუთვნებდნენ და ყურადღების ღირსადაც კი არ თვლიდნენ.

და აი მოხდა სასწაული: 1975 წელს ცხოველებზე დაკვირვების წყალობით ჩინეთის პროვინცია ხაიჩენის საშიში ზონიდან მოსახლეობა გახიზნეს კატასტროფამდე საათით ადრე.

ამას მოჰყვა ამერიკაში 1976 და 1979 წლებში ორი საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი მიწისძვრების წინ ცხოველთა განსაკუთრებული ქცევის საკითხებისადმი.

სეისმოლოგები, რომლებმაც შეაგროვეს ცნობები ბიომალუწყებლობაზე, მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: მიწისძვრის წინასწარ შეგრძნებაში გარეულ არსებათა შორის ყველაზე მგრძობიარენი არიან ჩიტები, გველები და თევზები. შინაურ ცხოველებში კი ძაღლები, კატები, ვირთხები და შინაური ფრინველები.

გავიხსენოთ ზოგიერთი მიწისძვრა, რომელთა წინ დაფიქსირებული იყო ბიოლოგიური წინასწარმალუწყებელთა განსაკუთრებული ქცევა და ეს მასალები გამოყენებულ იქნა შემოხსენებულ საერთაშორისო კონფერენციებზე კალიფორნიაში.

იტალია, ნეაპოლი, 1805 წელი. მიწისძვრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ძროხებმა და ცხვრებმა დაიწყეს ბლავილი, აფორიაქებული თხები კიკინებდნენ და ცდილობდნენ ბაკიდან გადმოხტომას. ძაღლებმა ყმული გააბეს. გზებზე მიმავალი ცხენები ჩერდებოდნენ და უცნაურად ფრუტუნებდნენ. კატები შეშინებულები გამოიყურებოდნენ, ტანზე ბალანი აბურძგვროდათ და ცდილობდნენ დამალვას, ბოცვრებმა და თხუნელებმა დატოვეს თავიანთი სოროები.

მიწისძვრის პირველ ბიძგამდე რამდენიმე ძაღლმა ყფით გააღვიძა თავისი

პატრონი. ისინი ტანისამოსზე კბილებჩაბლაუჭებულები ცდილობდნენ შენობის გარეთ მათ გაეყვანას. ასეთნაირად რამდენიმე ადამიანი უვნებელი ვადარჩა.

მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე ჰინაქველებმა დატოვეს თავიანთი ბუდეები, ფრთიანი ჰინაქველები კი ფანჯრებს მიაწყდნენ და შენობის შიგნით შესვლას ლამობდნენ.

კატასტროფის წინა დამეს ნეაპოლის ქუჩებში გამოჩნდა კალიების გუნდი, ისინი აუჩქარებლად მიემართებოდნენ ზღვისკენ.

იაპონია, ქალაქი ნობი, 1891 წლის 28 ნოემბერი.

მიწისძვრის წინ თავგებმა დატოვეს სახლები ქალაქ ნაგაიში, რომელიც დაახლოებით 40 კილომეტრზე მდებარეობს ნობიდან. ამ ქალაქში იყო რესტორანი, სადაც იმდენი ვირთხა დათარეშობდა, რომ მას „ვირთხების სასახლეს“ უწოდებდნენ. მიწისძვრის წინ ეს შენობა ყველა ვირთხამ დატოვა, ისინი მთელი დღის მანძილზე რესტორნის გარშემო დარბოდნენ, საღამოთი კი, მიწისძვრის წინ საღამაც გაუჩინარდნენ. ამ ფაქტმა რესტორნის მფლობელის ოჯახის წევრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ რაღაც უბედურება მოელოდათ.

თურქმენეთი, აშხაბადი, 1948 წლის 5 ოქტომბერი.

მიწისძვრამდე ერთი თვით ადრე გველებმა დატოვეს თავიანთი თავშესაფარი და მიწის ზედაპირზე ამოხიზნენ. მთავარ ბიძგამდე ორი საათით ადრე ცხენსაშენში მყოფი ცხენები ცოფიანებს წაავადნენ. მათ დაწყვიტეს მისაბმელები და გარეთ გამოცვივდნენ, მომსახურე პერსონალმა ისინი ისევ ძველ ადგილზე დააბრუნა, მაგრამ მიწისძვრამდე 15 წუთით ადრე მათ მაინც გამოამტვრიეს თავლის კარები და გარეთ გამოცვივდნენ. შემდეგ კი... მიწისქვეშა ბიძგისაგან ცხენსაშენის თავლა მთლიანად ჩამოინგრა.

სასაკლაოზე, სადაც სპეციალურად ჰყავდათ თხა, რომელიც წინ მიუძღვებოდა ხოლმე დასაკლავი ცხვრების ფარას, მოულოდნელად გაჩიუტდა და არ შეასრულა თავისი მოვალეობა. ურნალისტ გ. პესკოვს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ერთხელ, მატარებლით მგზავრობისას კუბეში მყოფმა მგზავრმა მაჩვენა ფოტოსურათი, სადაც ოჯახის წევრებთან ერთად გერმანული ჯიშის ნაგაზიც იყო გადაღებული. ეს ნაგაზი თურმე აშხაბადის მიწისძვრის წინ საბავშვო ეტლში მწოლიარე პატარა გოგონას კაბაში ჩასწვდომია და ოთახიდან გარეთ გაუტაცია. ამ სურათის შემხედვარე გაოგნებულ ოჯახის უფროსს დაუყვირია: გაცოფდა! მერე თოფისთვის ხელი წაუვლია და მეუღლესთან ერთად ნაგაზს გამოსდევნებია... ამ დროს კი საშინელ გრუხუნში მთელი ქალაქი მათ თვალწინ ჩამონგრეულა“.

იუგოსლავია, სკოპლე, 1963 წელი.

მიწისძვრის წინ ზოოპარკის ბინადართ საშინელი „კონცერტი“ გაუმართავთ: შესაბრალისად ყვიროდა სპილო და მალა სწევდა ხორთუმს, ძაღვს აგრესიულად იქცეოდნენ გარეული მხეცეები: ლომი, ვეფხვი, ლეოპარდი, მათ შეუერთდნენ ჩიტებიც.

თევზები, კუები და წურბელები მოუს-

ვენრად აწყდებოდნენ აკვარიუმების კედლებს.

უცებ ყველა სულდგმული ჩაჩქვდა და გალიის კუთხეებში მიიყუდა. სწორედ ამ წუთში შექანებული მიწა და შემდეგ რამდენიმე ბიძგს მთლიანად დაუზგრევია ქალაქი.

ჩინეთი, პროვინცია ლიოინინი, ხაინეჩი, 1975 წლის 4 თებერვალი.

ხაინეჩის დამანგრეველი მიწისძვრა სეისმოლოგიის ისტორიაში განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს.

სეისმოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული რაიონი ითვლებოდა ძალზე არასაიმედოდ და ამიტომაც აქ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა დეკვირვებები ცხოველთა ქცევებზე. ამ ლონისძიებების ჩატარების მიზნით სათანადოდ მოამზადეს ორი ათასამდე მოხალისე-დამკვირვებელი სოფლის მცხოვრებთაგან — ისინი, ვინც თავიანთ საქარმიდამო ადგილებში ინახავდნენ შინაურ ცხოველებს.

1974 წლის ივლისში მეცნიერებმა, ძირითადად მიწის ზედაპირის დახრილობის ცვლილებების მიხედვით, გამოიტანეს დასკვნა, რომ ამ რაიონში მიწისძვრა მოხდებოდა დაახლოებით 1-2 წლის ფარგლებში.

1974 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, კატასტროფამდე თვენახევრით ადრე, მიღებული იქნა პირველი ცნობა ცხოველთა ბიომალუწყებლობის გზით. ზამთრის თოვლიან დღეს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა გზაზე ნახეს რამდენიმე გველი. მათ იცოდნენ, რომ ყინვაში გველი სოროდან არასოდეს არ ამოდის, თუ რაღაც არ გაუჭირდა. ამიტომ მათ ეს ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინეს სკოლის კომიტეტთან ჩამოყალიბებულ მიწისძვრის წინასწარმალუწყებულ ჯგუფს.

პირველი მიწისქვეშა ბიძგი აღინიშნა 1974 წლის 22 დეკემბერს, ხაიჩენიდან 70 კილომეტრზე და ამან უფრო გააძლიერა ბიომალუწყებლებზე დაკვირვება.

იანვრისა და თებერვლის პირველ რიცხვებში აღნიშნულ ჯგუფებში შემოდიოდა ათასობით ცნობა ცხოველთა განსაკუთრებული ქცევების შესახებ. ისინი ძირითადად ეპიცენტრის მახლობელ ადგილებიდან იყო. ერთდროულად გეოფიზიკოსებმა აღიარეს მიწის ზედაპირის ცვლილება, მიწისქვეშა ბიძგები და წყალში როდონის მომატება.

პირველი თებერვლიდან დაიწყო მიწისქვეშა ბიძგების სერია, რომლებიც მთავარ ბიძგამდე 1 საათით ადრე შეწყდა.

მიწისძვრის წინ ძალზე გააქტიურდნენ ბიომალუწყებლობები: ორი დღით ადრე გოჭებმა ატეხეს ერთმანეთში ჩხუბი, ლორებმა შეწყვიტეს ჰამა და სალორის კედლებს ეკვროდნენ, ერთი დღით ადრე ძროხებმა დაიწყეს ერთმანეთის რქენა და ჩლიქებით მიწის თხრა. რვა საათით ადრე ირმები გაიქცნენ ბაკიდან, მიწისძვრის წინ ქათმები ხეებზე შეფრინდნენ.

რამდენიმე საათით ადრე მიწისძვრის დაწყებამდე მოსახლეობა გახიზნეს.

დაბოლოს, როგორ მოვიქცეთ, თუ სხვადასხვა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დროულად ვერ მივიღეთ ვერც ერთი სახის გამაფრთხილებელი ინფორმაცია და მიწისძვრა მოულოდნელად დაიწყო? რას გასწავლის ჩვენი წინაპრების მწარე გამოცდილება და ამ დარგის სპეციალისტთა თვალთახედვა? სანამ ამ

19316



პიწისძვრის გაუწყებელი

კითხვებს ვუპასუხებდეთ, მანამდე, ალბათ, მიზანშეწონილია გავეცნოთ მიწისძვრის მიმდინარეობის ზოგიერთ თავისებურებას.

მიწისძვრა ზოგჯერ იწყება მცირე ძალის ევრეთწოდებული „გამაფრთხილებელი“ ბიძგებით, რომელთა ძალაც თანდათან მატულობს. ამასობაში კი მოსახლეობას საშუალება ეძლევა, დროულად დატოვოს შენობები და უსაფრთხო, გაშლილ ადგილებზე გავიდეს.

ასეთ მიწისძვრას ადგილი ჰქონდა 1929 წლის 1 მაისს აშხაბადში, სამაგიეროდ იმავე აშხაბადში 1948 წლის 6 ოქტომბერს მიწისძვრა ყოველგვარი „გამაფრთხილებელი“ ბიძგების გარეშე, ძლიერი დამანგრეველი ბიძგით დაიწყო, მოულოდნელად თავს დაატყდა მოსახლეობას და დიდი მსხვერპლიც განიწვია.

მიწისძვრის მთავარი ბიძგის დროს, დაახლოებით ათი წამის განმავლობაში მიწის ზედაპირზე ყველაფერი იწყებს უწყსრიგო-ქაოსურ მოძრაობას, მიწის გრუნტის დეფორმაციის შედეგად წყდება მიწისქვეშა კაბელები, მილსადენები და სხვა მოწყობილობები, ძალზე ხშირად ძლიერი მიწისძვრების შემდეგ ქალაქებში ჩნდება ხანძრები, რომელთა ჩაქრობა წყალსადენების დაზიანების გამო შეუძლებელია და ისინი მიწისძვრით დაწყებულ საქმეს ბოლომდე ამთავრებენ.

ნგრევის გარდა ძლიერი რყევა, განსაკუთრებით პირველ წუთებში მძიმე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანების აზროვნებასა და ნებისყოფაზე. ჩარლზ დარვინი, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ჩილეში მომხდარი 1835 წლის 20 თებერვლის ძლიერი მიწისძვრის სა-

შინელება, წერდა: „თვითონ დედამიწა რომელიც განსახიერებაა ყოველგვარი რისა და ურყევის, გაქანდა ჩვენს, მძიმე ქვეშ, როგორც მსუბუქი ნაფორი წყალს, რალაც წამებში დაგვეუფლა შეგრძნება უსუსურობისა — გრძობა, რომელიც არ შეიძლება შეგვექმნას მრავალი საათის ფიქრის შემდეგაც კი“.

თვითონ მიწის ზედაპირის რყევა ადამიანებისათვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, ამ დროს დიდ მსხვერპლს იწვევენ ვარდნილი საგნები: სახურავების ნაწილები, შუშის ნამსხვრევები, ქვები, კედლები და ა. შ.

მრავალსართულიანი სახლის ყველა მობინადრემ კარგად უნდა იცოდეს, თუ სად იმყოფება ელექტროდენის ჩამრახვი, გაზისა და წყალსადენის მაგისტრალური მილსადენების გადასაკეტი ონკანები, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი დროზე გადაკვეთოთ. ასევე უნდა ვიცოდეთ ცეცხლჩაქრობისა და საშინაო აფთიაქის ადგილმდებარეობა.

მიზანშეწონილია, მძიმე წონის ნივთები არ შევაწყოთ საცხოვრებელი ბინის ზედა თაროებზე. ბოთლები და სხვა მსხვრევადი ჭურჭელი უნდა გვეწყოს დახურულ კარადებში ან ისეთ თაროებზე, რომელთაც დამჭერი ლარტყა აქვთ.

მიწისძვრის დროს შენობაში ვიქნებით თუ ქუჩაში, უნდა დავრჩეთ ადგილზე, რადგანაც ძალზე ბევრი მსხვერპლი მოსდევს იმას, რომ სიჩქარეში ერთნი ცდილობენ შენობიდან გამოსვლას, მეორენი კი პირიქით, შიგ შესვლას. ზოგჯერ კი ანგარიშმიუცემლად ხტებიან კიდეც მაღალი სართულების ფანჯრებიდან. ბინაში უმჯობესია თუ დავდგებით კედელთან, შიდა კარების თაღის ქვეშ ან საყრდენ სვეტთან, ფანჯრებისაგან მოშორებით. ამ დროს არ უნდა გამოვიყენოთ ასანთი, სანთლები და სანთებელი, რადგანაც დაზიანებული მილსადენებიდან გაზის გამოსვლის გამო მოსალოდნელია ხანძრის გაჩენა. როდესაც შესაძლებელი იქნება შენობის დატოვება, უნდა ვისარგებლოთ კიბეებით და არა ლიფტით.

ასეთ დროს უნდა მოვერიდოთ დაზიანებულ შენობებში შესვლას. რადგან მიწისძვრის შემდეგ პირველ საათებში შეიძლება კიდეც განმეორდეს ძლიერი ბიძგები შემდგომი 2-3 დღე-ღამის განმავლობაში.

თუ ქუჩაში ვიმყოფებით, უნდა მოვერიდოთ შენობებს, ელექტროგადამცემ ხაზებს და გავიდეთ გაშლილ ადგილზე. ტრანსპორტში ყოფნის დროს უნდა დავრჩეთ ადგილზე ძლიერი რყევების დამთავრებამდე.

როგორც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან ცნობილია, ასეთ დროს სიმშვიდის, დისციპლინისა და გამჭრიახობის გამოჩენაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეტი გარანტია, ერთმანეთისათვის დახმარების აღმოჩენა, მაშველი სამუშაოების დროულად და ეფექტიანად წარმოება.

გურამ თაყთაიშვილი

საპარტოველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არასალონო კვლევა...

ერთი დამიწყებული გამოკვლევის შესახებ, რეგულარული თარგამოდებით იტყობიან დაინახს.

ერის მეხსიერებაში არასოდეს იშლება მშობლიური სახელები, მათი საქმე შემდგომ თაობებს ნათელ შუქად ადგას და საკვალს უნათებს.

ადამიანი, რომლის შესახებაც მოგითხრობთ, დიმიტრი ბერულავა, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჩაება ცხოვრების ფერხულში.

მაშინ კოლხეთის საამაყო ისტორია უკვე შორეული წარსული იყო, „გათიშე და იბატონე“-ს პოლიტიკას დიდი ხანია ახორციელებდა რუსეთი, ხალხის გონების ჯალათი კ. იანოვსკი სამეგრელოს სკოლებში მეგრული ენის შემოღებას „პედაგოგიური მეთოდებით“ ამართლებდა და მეგრულ ანბანს ქმნიდა პეტერბურგიდან საგანგებოდ მოწვეული გრენი.

ყველამ როდი გაუძლო ამ ცთუნებას, ზოგმა დედანის სიყვარულს პირადი ბედნიერება ანაცვალა. მაშინ „გათიშე“ სახელი ცაიშის სკოლის მასწავლებელმა თადა აშორდიამ, რომელიც გრენთან ერთად იღვეწოდა მეგრული ანბანის შესადგენად. შემდგომში მათ შორის შუღლი ჩამოვარდა და აშორდიამ დაიწყო თავისი ანბანის შედგენა. აი რას ამბობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა თადა აშორდიას შესახებ: „პირადად აშორდიას მევიცნობდი, რამდენიმეჯერ ყოფილა ბიძაჩემის სახლში. ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრე მისი მოწაფე იყო ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში. პირველ ხანებში თადა აშორდიამ ცაიშის ერთკლასიან სამონასტრო სკოლაში იყო მასწავლებლად, შემდეგში კი „სასარგებლო მოღვაწეობისათვის“, ე. ი. ქართული საქმის დალაღისათვის წარმატება მისცეს; მასწავლებლად დანიშნეს სამოქალაქო სასწავლებელში, თუმცა მას როგორც საოსტატო სემინარიელს ამის უფლება არ ჰქონდა. თადა ყოველთვის „მუნდირში“ იყო გამოწყობილი. თავი დიდად მოქონდა თავისი „მოღვაწეობით“. მე მასთან საუბარი ან კამათი არ მქონია. ეტყობოდა, რომ საერთოდ ქარაფშუტა, თავქარიანი კაცი იყო, ამბობდნენ, სრულებით არაფერს არ კითხულობსო არც რუსულად და მით უმეტეს, ქართულად და მთელ თავისუფალ დროს ნარდის და ქალაღდის თამაშს ანდომებსო, პირდაპირ არ მომწონდა ეს კაცი. ესტატესთან საუბრის შემდეგ მთლად შემძულდა“ (საუბარია ცნობილ საზოგადო მოღვაწე ესტატე ბესარიონის ძე შუშანიასზე, რომელმაც საკუთარი სახსრებით დაარსა ხეთის სამეგრელოს სკოლა და დიდი წვლილი შეიტანა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში).

ამრიგად, სამეგრელოს სკოლები პოლიტიკური ჭიდილისა და ძალადობის არენა გახდა.

ქართული სკოლებიდან დედანის განდების წინააღმდეგ ხმა აღიმალა დიმიტრი ბერულავამ. მან 1877 წელს საკუთარი სახსრებით აავო და დაარსა ახუთის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონი) სამონასტრო

სკოლა, სადაც პირველი განყოფილებიდანვე იწყებდა ქართული ენის გაკვეთილებს და კვირაში ნებადართული ორი საათის ნაცვლად, ექვს გაკვეთილს აძლევდა. ქართული მადლით აპურებდა მოსწავლეებს.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში ინახება ინსპექტორ პერვერზნიკოვის მოხსენება, სადაც ნათქვამია: „ახუთის სკოლის მასწავლებელი დიმიტრი ბერულავა არ ასრულებდა მზრუნველის და დირექტორის ცირკულიარებს ენის სწავლების შესახებ: ქართული ენის სწავლებას პირველ განყოფილებიდანვე იწყებდა და თითო განყოფილებაში ექვს-ექვს კვირეულ გაკვეთილს ნიშნავდა“. დიმიტრი ბერულავას საყვედური გამოეცხადა და დათხოვნით დაემუქრნენ.

მოგვიანებით, დიმიტრი ბერულავა პრესის ფურცლებზე სასტიკად ამხელს თ. აშორდიას მოღალატურ საქმიანობას და კიცხავს მას, როგორც ყოველივე ქართულის მოწინააღმდეგეს. ყურნალ „მწყემსის“ რედაქციას ასეთი წერილით მიმართა დიმიტრიმ: „მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემსში“.

„წარსულ ოქტომბრის თერთმეტს, სამსახურის გამო დ. ზუგდიდში ჩემი ყოფნის დროს, ერთმა მეგრელმა (ეს იყო თ. აშორდია, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, მეგრული ანბანის შემდგენელი) გამომიხმო, ჩემთან ერთი ახალგაზრდა მღვდელიც იყო. გვითხრა: იმედია, თქვენ არ მიბაძავთ ძველ მღვდლებს და ამ თხოვნაზე ხელს მომიწერთ. გაშალა ერთი ფურცელი ქალაღდი, რომელშიაც, კავკასიის ოლქის სამსწავლებლო მზრუნველის, ბ. იანოვსკის სახელზე სამურზაყანო და სამეგრელოს მღვდელთა და სოფლის სკოლების მასწავლებელთა მხრით (ვითომ) თხოვნა იყო შედგენილი იმის შესახებ, რომ, როგორც კარგი ხნის გამოცდილებით დავრწმუნდით, წიგნმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს სკოლებს და პირდაპირ მისი საშუალებით მეგრულიდან რუსულ ენაზე გადასვლა გაგვიადვილდაო: ამიტომ ნებადართულ და მიღებულ იქნას ყველა ჩვენს სკოლაში ხსენებული სახელმძღვანელო (ესე იგი „აშორდიული“). ბოლოს ხელს აწერდნენ სამურზაყანოდან სამი თუ ოთხი მასწავლებელი და იმდენივე მღვდელიც, ხოლო ზუგდიდის მაზრიდან აწერდა ხელს ერთი მღვდელი. მე ვუბასუხე: 25 ამ თვეს აქ, ზუგდიდში, კრება გვექნება მაზრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილებაში და იქ მოიტანეთ ეს არზა მეთქი. ამ დროს უცებ ჩემს მოსაუბრეს ფერი წაუხდა და მოჰკურცხლა.

იმედია, ბეჭდვითი ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ამ არასასიამოვნო მოვლენას და გააფრთხილებენ ჩვენს სამღვდელოებას და მასწავლებლებს, რომ საზოგადო საქმეს და მეტადრე, სკოლების



შესახებ საქმეს ასე ადვილად, დამალულად და მოუფიქრებლად ნუ მოაწერენ ხელს, რომ მით მთავრობაც შეცდომაში არ შეიყვანონ. არავის არ აქვს უფლება, ამისთანა დამზადებულ თხოვნებს ხელი მოაწეროს. ამისთანა სერიოზული საქმე უნდა ეკითხებოდეს არა კერძო პირს.

რაც შეეხება აშორდიას, რომელიც სიყრმიდანვე შეუდგა პირადი სარგებლობის პატივისცემას, მას საზოგადო კეთილდღეობაში ნიჭი და განათლება არ შესწევს, ის უნდა იკმაროს მან, რაც ზარალი ჩვენს სკოლებს დღემდე მიაყენა“.

1879 წელს სოფელ ახუთს დიდი უბედურება ეწვია, დიმიტრის მიერ ნაამაგარო სკოლა ცეცხლის ალში გაეხვია. ხანძარმოკიდებულ სახლში პირველად დიმიტრიმ მიიღიბინა. სკოლის უკან მიშენებულ პატარა ოთახში რამდენიმე მოსწავლე ცხოვრობდა, დიმიტრი იმ დროს შევარდა ოთახში, როცა დაბნეულ ბავშვებს თავზე ცეცხლის ენები დასტრიალებდათ. მან ბავშვები გადაარჩინა, მაგრამ თვითონ იმდენად მძიმე სიღამეწვერე მიიღო, რომ შინ საკაცია წაიყვანეს და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა...

დიას, „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა არ ახალია, ძველია. მას ყოველთვის ებრძოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები.

გარლამ როდონია,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ლელო გაბრიელა

„პატივცემულო რედაქციავ, როცა გვიჭირდა, თქვენ შემოგჩიოდით ჩვენს ტკივილს. ბევრჯერ გავგვიტბეთ გული. ახლა უბედნიერესი დღეები გვაქვს და გვინდა, გახაროთ — დედა დაბრუნდა! ჩვენს შუა წევს, ჩვენს გვერდით სუნთქავს.“

თქვენი გულების გვჯერა, ამ სიხარულს უსიტყვოდ გავგვიგებთ. არ შეგვიძლია, გადმოგცეთ, რას განვიცდით. ამგვარი ბედნიერი დღე ალბათ აღარ განმეორდება.

კეთილთადად ადამიანებო, რომლებმაც გვაჩუქებ ბედნიერება, გმადლობთ, რწმენადაკარგულებს რომ რწმენა აღგვიდგინეთ, დედადაკარგულებს რომ

დედა დაგვიბრუნეთ. პირობას გაძლევთ, გავიზრდებით ისეთები, როგორც სჭირდება ჩვენს ერს. გავამართლებთ დედის იმედს.

კეთილი სურვილებით ბატარა, მაგრამ საუკუნეგამოვლილი ნინო და ლელო ფოცხვერაძეები“

ზოგიერთი მსჯავრდებული ქალის, მათი შვილების შესახებ მოგითხრობდით „დროის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ ნარკვევში „ქალი კოლონიაში?!“ მერე ნინო და ლელო ფოცხვერაძეების წერილიც მივიღეთ.

...იმ ბედნიერ დღეს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმზე იხილებოდა ნინოსა და ლელას დედის საქმე. მობუზული ბავშვები და ნერვიულობისაგან მთლად დალეული მათი ბებია, ცილას დედა, გარეთ იციდნენ.

ლელოვდნენ შვილები. ლელოვდა დედა...

მოულოდნელად მათ პრეზიდიუმის სხდომაზე იწვევენ. ასევე მათთვის მოულოდნელად დგება პრეზიდიუმზე ცილა ფოცხვერაძის მთლიანად გათავისუფლების საკითხი. პრეზიდიუმში ერთსულოვანია — დედა დღევანდელს უნდა გაჰყვეს შვილებს. გადაწყვედა. უმაღლესი იბეჭდა ამონაწერი.

...და დგება დიდი სიხარულის წუთები.

დიას, ყინული მართლაც დაიძრა. შემწყვდარებლობა თანდათან ძალას იკრებს. სიხარული კი მართლაც ბევრია. უკვე გათავისუფლდა დროზე საქმაოდ ადრე ათეულობით ქალი.

და ასე განუწყვეტლივ მისდევს საქმე საქმეს უმაღლეს სასამართლოში, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში...

ამ მხრივ დიდ საქმეებს აკე-

თებს სხვადასხვა ფრონტი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ცენტრის ასოციაცია... ბევრს ჩემდასწრე რაგული დააყენეს კეთილ გზაზე.

ჯერ კი გვეყვანან საქართველოში მსჯავრდებული ქალები, ოჯახს მოცილებული დედები, სევდისაგან დაზარალებული ბავშვები, მრავლადაც გვეყვანან. მოუწყობელმა საზოგადოებრივმა ყოფამ ქართველი ქალიც მიიყვანა კოლონიაში. ეს მით უფრო დასანანია, რაც უფრო შორს გავადევნებთ თვალს ჩვენი ერის წარსულს, საუკუნეების სიღრმეებიდან გამოვიხმობთ ქართველ დედათა აჩრდილებს — სამშობლოს, ენისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულთ, მეუღლეობისა და დედობის მაღლით განათებულთ, კეთილშობილებით, სინაზით, სიწმინდითა და კაცთმოყვარეობით სახელგანდილებულთ...

დღეს და ზვალ, ერის აღზევებისა და ერთიანობის ხანაში, ჭეშმარიტი ქართველი დედა არა და არ უნდა დაადგეს იმ გზას, რომელიც გოლგოთაზე მიიყვანს.

ნათელა გომრგობიანი

სოციალიზმი: მითი თუ რეალობა?

(დასასრული, დასაწყისი მე-8 გვერდი)

— უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივება და მასზე დაფუძნებული ეკონომიკის დეცენტრალიზაცია-დემონოპოლიზაცია. ამ გზით უპირატესობა მიენიჭება სააქციო, კოოპერაციულ და კოლექტიურ საკუთრებებს, მოიხსნება აკრძალვა კერძო საკუთრებაზე, განთავისუფლება იგი „იდეოლოგიური ტაბუსაგან“. ამით ჩვენ „უფლებას მივაძლევთ“ დარღვეულ ისტორიულ კანონზომიერებას, რაც განაპირობა ჩამორჩენილ, ნახევრადფეოდალურ ქვეყანაში სოციალისტური ექსპერიმენტის ჩატარებამ. გავაცნობიერებთ იმ გარემოებას, რომ საკუთრების არც ერთი ფორმა ავტომატურად არ იძლევა სოციალური სამართლიანობის გარანტიას.

— აუცილებელია გაუქმდეს საწარმოების, გაერთიანებების, ფირმების, კოოპერატივებისა და სხვათა წევრებისადმი ინსტრუქციული დაქვემდებარება. მათი ფუნქციონირება უნდა წარიმართებოდეს მხოლოდ ეკონომიკური კანონებითა და ბაზრით; მოხდეს სამინისტროებისა და უწყებების უზარმაზარი სისტემის დემონტაჟი.

— ბაზრის რეგულირება სახელმწიფოში უნდა განახორციელოს მხოლოდ ეკონომიკური ინსტრუმენტების (გადასახადები, შეკვეთები, სარგებლის განაკვეთები და ა. შ.) მეშვეობით და არა პირდაპირი ჩარევით.

— სახელმწიფო უარს ამბობს ჩამორჩენილი და წამგებიანი საწარმოების სუბ-

სიდირებაზე. მწვეავ თავისუფალ კონკურენციაში ის იმარჯვებს, ვინც ახერხებს ეფექტიანი და მობილური სამეურნეო სისტემის შექმნას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში წარმოიშობა უმუშევრობა, მაგრამ სახელმწიფო ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის მეშვეობით უნდა გაუმკლავდეს ამ პრობლემას.

— უნდა ჩამოყალიბდეს პრინციპულად ახალი საფინანსო-საქრედიტო, სავალუტო, ფულადი ფასებისა და სავადასახადო პოლიტიკა. ძირეულად განახლდეს საბანკო სისტემა, შეიქმნას ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

— დასაშვებად მიიჩნია ე. წ. „ფარული“ საბაზრო ეკონომიკის ლეგალიზაცია და მისი ჩართვა კანონიერ საბაზრო ეკონომიკაში. ამ სფეროში მოსაქმე ადამიანთა მიმართ დღეს საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად უარყოფითია. ამგვარი დამოკიდებულება წარმოშვა გაბატონებულმა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ, რომელმაც ადამიანს წაართვა ყოველგვარი მეწარმეობის უფლება და იგი იმაზე მტკიცედ მიაჯაჭვა ერთადერთ რეალურ მესაკუთრეს — სახელმწიფოს, ვიდრე „ჰეფესტოს ურომ მიაჯაჭვა კლდეზე პრომეთეოსი“. შეძლებული ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა რევოლუციის პროცესში და მის შემდეგ პერიოდში.

რა თქმა უნდა, ფარული ეკონომიკის ლეგალიზაცია, საერთოდ, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება უმტკივნეულოდ ვერ მოხერხდება. განსაკუთრებით საწყის ეტაპზე ბევრი პროცესი მაინც გამოვლენასაც მიიღებს. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საბოლოო ანგარი-

შით ეს პროცესები ჩადგებიან ცივილიზებულიობის ჩარჩოებში. უქველია ისიც, რომ ფარულ ბიზნესმენებს შორის აღმოჩნდებიან ქურდებიც, სპეკულანტიც და სხვა ჯურის დამნაშავენიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ორი ტიპის საბაზრო ეკონომიკა ერთმანეთს შეერწყება, ასეთების წინააღმდეგ იმოქმედებენ ბიზნესის კანონები და ბიზნესის ეთიკის ნორმები, რომელთა ეფექტიანობა თვალსაჩინოა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

დასასრულ, საბაზრო ეკონომიკისა და სოციალური სამართლიანობის ურთიერთმიმართების საკითხების შესახებ. ხშირად წერენ, რომ ბაზარი გამოიწვევს სოციალურ დიფერენციაციას საზოგადოებაში. ეს ასეც იქნება. მაგრამ, ჯერ ერთი, განადღეობადელი ჩვენი საზოგადოება მართლა „სოციალურად თანასწორ ადამიანთა თავისუფალი ასოციაცია“? განა ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოფიციალურად აღიარებულ სიღატაკში არ ცხოვრობს, მაშინ, როცა მეორე, შედარებით მცირე ნაწილი განცხრომასა და ფუფუნებაშია? საბაზრო ეკონომიკა, ჩემი აზრით, ისეთ მექანიზმს შექმნის, როცა ეფექტიანი შრომა, მეწარმეობა, რისკი, თვითღირსება და თვითქსპლუატაცია ადამიანს ცხოვრების მაღალ დონეს შეუქმნის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უტყუავდეთ პოპულიზმის მაგნე სოციალური დემაგოგია, რომლისთვისაც სოციალიზმი სიღატაკში საყოველთაო თანასწორობის საზღვარს წარმოადგენს.

ელეზუა მემკაბიშვილი,
ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე.

პანორამა

ეროვნული
რედაქცია

— როგორ დაკარგა ზღაპარი
ჩვენა ხელზე თითებზე?
— ცხენს ჩაუღო პირში, უნდოდა,
ენახა რამდენი კბილი ჰქონდა.
— შემდეგ რა მოხდა?
— ცხენმა დახურა პირი.

შოკინიზმი

ნაპოლეონის არმიაში ერთი ჯარისკაცი მსახურობდა. მას საოცრად სწამდა თავისი იმპერატორისა და ეს რწმენა არ განედგებოდა ვატერლოოს ბრძოლის შემდეგაც, როცა იმპერია ფაქტიურად დაინგრა. პირიქით, ამ დროს იმპერატორზე საქებ სიმღერებსაც თხზავდა და მღეროდა. მისი სახელი და გვარი იყო ნიკოლა შოკინი. და აი, ამნაირი კერბთაუკანის-მცემლობის გამო მისი გვარიდან მივიღეთ სიტყვა — შოკინიზმი, რომელიც უსაფუძვლო, პატივმოყვარე პატრიოტიზმს ნიშნავს.

ლაკონიზმი

ინგლისურში მრავალი სიტყვის მნიშვნელობა ადამიანის ხასიათის მიხედვით განისაზღვრება. მაგალითად, ლაკონური პიროვნებაა ის, რომელიც ცოტას ლაპარაკობს. სწორედ აქედან წარმოიშვა სიტყვა ლაკონიზმი, რაც მოკლედ, სხარტად ნათქვამი ნიშნავს.

ტანჯვა

ძველ ბერძულ მითოლოგიაში ღმერთ ტანტალუსს მეზუთე ადგილი უჭირავს.

ტანტალუსმა ზევის მრავალი საიდუმლო გახცა და ამის გამო არაადა-მინაურად დაისაჯა. წყალში ჩაუშვეს და წყალი ნიკაპამდე სწედებოდა, ხოლო თავთან საუკეთესო ხილი ჩამოუკიდეს. ამგვარად, მას არც წყლის დაღვევა შეეძლო და არც ხილზე მიუწვდებოდა ხელი.

ტანტალუსიდან შივიღთ ინგლისური სიტყვა „თუ თენთელა იშ“, რაც ნიშნავს ისეთ ტანჯვას, როცა ადამიანებს რაღაც სასურველით, მაგრამ მიუღწეველით აიშებებენ.

მომთხოვნე

მათინეთ — ინგლისური სიტყვაა და ქართულად მომთხოვნს, მკაცრ, დისციპლინის მოყვარე კაცს ნიშნავს. ამ სიტყვის წარმოშობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გენერალ ჯინ მარტინეტთან, რომელმაც ლუი XIV

მეფობისას ევროპაში შექმნა პირველი მულმივი არმია. იგი საოცრად მკაცრი, მომთხოვნი და სახტიკი იყო. სწორედ ამ თვისებების გამო შესაშური წესრიგი დაამყარა არმიისში.

დღეს: ჯოდი, დაანებე თავი მაგიდაზე ხელების ფათურს. რაც გსურს, მითხარი და მე მოგაწოდებ.

ჯოდი: რა ვქნა, დედა, ხელი უფრო გრძელი მაქვს, ვიდრე ენა.

დღეს: ლონი, ნუ ხარ გაუგონარი მოდი და აკოცე ამ დეიდას.

ლონი: ო, არა, ის საძაგელი ქალია. მე რომ მას ვაკოცო, შეიძლება ისეთი სილა გამაწნას, როგორც მამას.

— რა შესანიშნავად დაუქარიო ღღეს, რა ნაწარმოები იყო?

— ო, მადამ, მე მხოლოდ სიმი გა-მოუყუცვალე ჩემს ვიოლინოს.

მაშა: როგორ ჩააბარა ჩემი ისტორიაში გამოცდა?

დღეს: ო, არც ისე კარგად, მაგრამ მისი ბრალი არ არის. საწყალ ბიჭს ისეთი რაღაცეები ჰკითხეს, რაც მის დაბადებამდე მოხდა.

მასწავლებელმა: ჯორჯ, რომელი უფრო შორს არის, მთვარე თუ ჩინეთი?

ჯორჯი: ჩინეთი.

მასწავლებელმა: რატომ ფიქრობ ასე?

ჯორჯი: მთვარის დანახვა ნებისმიერ ნათელ ღამეს შეგვიძლია, ჩინეთისა კი არა.

სარბმან ნინო ხურციან

თანამედროვე ქართული სახეობის ხელოვნება არ არის ვანებიერებული პორტრეტული ჟანრის ოსტატებით. ახალგაზრდა მხატვართა უმრავლესობა, არც თუ წარუმატებლად, მოდერნიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას ესწრაფვის და ხშირად სცილდება ეროვნულ ტრადიციებს. ალბათ ამიტომაც ღღეს ქართველი კაცისათვის ძალზე ძნელია სწორად წარმართოს ღვთის მომადლებული ნიჭი, რაც მთავარია, შეინარჩუნოს საკუთარი ხმა, ფერი, იდრი...

პიროვნება — ქართული სიმშვიდით, ემოციით, ცხოვრების წესით...

შემოქმედი — ქართული აზროვნებით, პოეტურობით, ორიგინალობით...

ეს ყოველივე არც ისე ადვილი ამოსაცნობია გიორგი გეგეჭკორის — მხატვრისა და კაცის ბუნებაში და იქნებ არც გაისარჯო ისედაც დამძიმებულ გარემოში ასეთი რთული ადამიანის ამოსახსნელად, თვალშისაცემი რომ არ იყოს მისი შემოქმედებისა და პიროვნების გამამთლიანებელი თვისება — სისადავე.


სადა და გარეგან, ხელოვნურ ეფექტს მოკლებული გიორგი გეგეჭკორის პორტრეტთა გალერეა. ფერთა შესაბამისა

შიგრი, მდიდარი პალიტრა. ადამიანის სულიერი სამყაროს ჭკვრეტის უხარია...

— ჩემი შემოქმედების მთავარი თემა ადამიანია, ყველაზე რთული — ღვთის მიერ ქმნილი. ამდენად, რთულია პორტრეტის აღქმა და შესაბამისად, მისი ავტორისაც. მხატვრის ქმნილება ხომ მისი შინაგანი სამყაროს ანარეკლია. მნახველი უმთავრესად გარეგნულ მსგავსებას ეძებს და ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება ავტორისა და პერსონაჟის გაშიშვლებული სული.

— ქართული ხასიათის ფენომენზე თუ გიფიქრიათ განკერძობებით, თუ გავიზიარებიათ ამ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა?

— ცხადია, მხატვარმა უნდა გაითავისოს მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის უმდიდრესი გამოცდილება, მაგრამ არც თავად უნდა იყოს მოკლებული ხედვის და საკუთარი დასკვნების გამოტანის უნარს. იტალიური აღორძინების ბრწყინვალე ნიმუშების ხილვის შემდეგ ერთხელ კიდევ შემოვიარე ჩვენი ეკლესია-მონასტრები და დავრწმუნდი, თავად ქართული სულია რენესანსული, იგი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც საქართველო, მისი ბუნება.



ასეთივე მრავალმხრივია გიორგი გეგეჭკორის პორტრეტული ტილოები. მრავალგანზომილებიანი ქართული ხასიათი ყველაზე ნათლად ჩგუფურ პორტრეტში „შვიდკაცაში“ ჩანს. ასევე შთაბეჭდავია გ. ლორთქიფანიძის, თ. ჩხეიძის, გ. ქაფეთარაძის, შ. ვასაძის, კ. მირიანაშვილის პორტრეტები.

თვითგამონათვის არც ისე იოლი გზა პორტრეტის ჟანრი, მაგრამ თეატრის მოღვაწეთა სახეების ასეთი „ზუსტი“ ასახვა ერთგვარად ეადვილება გ. გეგეჭკორს, ისე ახლო და მისეულია ეს სამყარო.

იგი თეატრალურ გარემოში დაიბადა (1958 წელს) და აღიზარდა. ბატონი ვიქტორ გეგეჭკორის, სახელგანთქმული მსახიობისა და ქალბატონ ნათელა ურუშაძის, ცნობილი თეატრმცოდნის შრომისმოყვარეობით, ნიჭით და სიღარბისლით გამორჩეულ ოჯახში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; მუშაობდა მინიატურების თეატრში მთავარ მხატვრად; გაფორმებული აქვს თბილისისა და საქართველოს სხვა თეატრების სპექტაკლები: „ღია შუშაბანი“ კინომსახიობის თეატრი), „სეზონის გახსნა“, „კუკარაჩა“ (თელავის თეატრი), „ყორნალი“, „უმაღლესი ზომი“, „ყვარყვარე“, „ჩემი პატარა ქალაქი“, „ათვინიერებენ მიმინოს“, „ლონდა“ (ჭიათურის თეატრი), „უკანასკნელად კიევის მატარებელი“ (სოხუმის თეატრი). ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგია.

— პედაგოგი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი (არც ისე მოულოდნელი იყო თავმდაბლობის გამომქლავება), ფერწერას ვასწავლი მონუმენტური ფაქულტეტის სტუდენტებს. ამიტომ თავს ნებას ვერ მივცემდი, კატეგორიულად შეემფასებინა ქართველ მხატვართა მომავალი

— ქალბატონო, რაღაც ფუთა დაგრ- ჩათ, — გასძახა ავტობუსის კონდუქ- ტორმა მგზავრ ქალს, რომელიც მო- რიგ გაჩერებაზე ჩამოსასვლელად მო- ემზადა.

— ო, ნუ წუხართ, — მიუგო მან, — ეგ ჩემი ქმრის საუშემა, რომელიც ნაოვნი ნივთების ბიუროში მუშა- ობს.

ბანსაზღვრა

— ძალზე ადვილია კარგი სიმღერის ცუდისაგან გარჩევა.

— როგორ?

— კრიტიკიუმი უტყუარია. კარგი სიმღერა ის არის, რომელიც ახალ- გაზრდობაში მოგვწონდა. ცუდი კი იგია, რომელიც თანამედროვე ახალ- გაზრდობას მოსწონს.

თუთიუზი

ხანდაზმული ქალი, რომელსაც თუ- თიუზის შეძენა უნდოდა, გამოედევ- ლის მიერ შეთავაზებულ ფრინველს გაესაუბრა:

— აბა, პატარა ბრიყვო, ლაპარაკი იცი?

— რა თქმა უნდა, შე ბებერო საფ- რთობებელა, მაგრამ აი შენ თვითონ ფრენა თუ იცი? — მიუგო თუთი- უშმა.

მამა ვაჟიშვილთან ერთად ტყეში დასერილობდა და თან უხსნიდა:

— იცი თუ არა, ჩემო ბიჭუნა, რომ ოდესღაც ამ ტყის ადგილას წღვა ყოფილა.

— მეც ეგრე გავიფიქრე, მამიკო, როცა შევხედე, რომ ბალახი სავსე იყო სარდინის ყუთებით.

ბაზარში

— რა ღირს ეს კატა? — იკითხა მუშტარმა.

— ასი ფრანკი.

— ასე რატომ აუწიეთ ფასი, გუ- შინ ხომ მაგ კატაში მხოლოდ ოცს მოითხოვდით?

— ღღეს თუთიუზში შეჭამა.

ალბარმბა

— მაქსთან ჭადრაკის თამაში რად მიატოვებ? — ჰკითხა მონიკამ ძმას.

— შენ ითამაშებდი ისეთ ადამიან- თან, რომელიც დაუსრულებელი ლაქ- ლაქით პარტნიორს თავს აბეზრებს და წაგების შემთხვევაში ნამდვილი ისტერიკა ემართება?

— ცხადია, არა.

— ჰოდა, ისიც ასე მოიქცა.

პერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

ნინო მახვი

თაობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს პედაგოგიც შეიცვალა და შეგირდიც. მთელი ჩემი ბავშვობა ელენე ახვლედიანის სახელოსნოში გავატარე, ეს იყო ნამდვილი ხელოვნების სახლი. ქალბატონი ელენე ხშირად უწყობდა ბავშვებს გამოფენებს და აქ თუნდაც ერთხელ ნამყოფი ახალგაზრდა ხელოვნების თანაზიარი ხდებოდა. მახსოვს, ერთ თავის თბილისურ პეიზაჟში ორი ცხენი ჩამახატინა ქალ- ბატონმა ელენემ, პირველი სურათიც აქ დავხატე.

— ასე რომ, ელენე ახვლე- დიანი თქვენს პირველ პედაგო- გად მიგაჩნიათ.

— ასე გამოდის. მაგრამ აკა- დემიაშიც შესანიშნავი პედაგო- გები მასწავლიდნენ: გურამ ქუ- თათელაძე, ურა ჯაფარიძე, თა- ზო ხუციშვილი.

შემოქმედის ძუნწი, ვიტყო- დი სადა ბიოგრაფიის მიღმა, მრავალრიცხოვან გამოფენებში მონაწილეობასაც რომ მოი- ცავს, იკითხება მისი აღიარება, რადგან ამ ცოტა ხნის წინ თბი- ლისსა და თელავში თეატრა- ლურ მოღვაწეთა კავშირის ინ- იციატივით მოწყობილი უჩვე- ულო გამოფენა დაუფარავი სი- ხარულით მიიღო ქართველმა საზოგადოებრიობამ. ეს იყო პირველი, მაგრამ უკვე დამა- ჯღრებელი ნაბიჯი ქართველი კაცის ბუნებასთან, მის წინააღ- მდეგობრივ ხასიათთან დიალო- გის ბედნიერი დასაწყისისა.

რაც შეეხება თავად მხატვარ- თან დიალოგს, მასთან საუბრის შემდეგაც გრძელდება იგი, უფ- რო სწორად, მის ავტობიოგრა- ფიკთან: წამით გარინდებული, გამოქცევა თითქოს დროთა მსვლელობას, მაგრამ მაინც ცემს გული, იღვწის გონი — მეტყველი დუმლით ამბობს სათქმელსა და სადარდებელს სასუქვარი მამულის წარსულ- ზე, აწმყოსა და მომავალზე...

ეს საინტერესოა

მე-18 ხართული, თუ თვის 18 რიცხ- ვი დაემთხვა პარასკევ დღეს, მორწმუ- ნე აღამიანები ამის განსაკუთრებულად განიცდიან.

საყოველთაოდ ცნობილია გამოთქმა „თოვლივით თეთრი“, მაგრამ იგი ხა- საცილოდ მოჩვენათ იაპონელებსა და ფრანგებს, როცა 1925 წლის 31 იანვარს იაპონიაში ნაცრისფერი თოვ- ლი, ხოლო 1926 წლის 6 ოქტომბერს სავრანგეთში შავი თოვლი მოვიდა.

იაპონელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნაცრისფერი თოვ- ლი წარმოადგენდა ჩვეულებრივი თო- ვლისა და ახლომდებარე ვულკანიდან წამოსული ფერფლის ნარევს.

ხოლო ფრანგებმა ვერაუთარი ახს- ნა-განმარტება ვერ მოუძებნეს ამ უც- ნაურ მოვლენას.

კვერცხებით თამაში

კვერცხებით თამაში ტრადიციული სააღდგომო გახართობია, რომელსაც დიდი წარმატება აქვს ჩრდილო ინგ- ლისში, შოტლანდიაში და შვეიცარია- ში. კვერცხებით თამაშობენ სააღდგო- მო კვირას ან ორშაბათს. შეღებულ, მკვრელ მოხარშულ კვერცხებს აგორებ- ნენ გარკვეული სიმაღლიდან. კვერც- ხები, ცხადია, ტყდება. ხოლო ამის შედეგ მათ მიირთმევენ. ზოგიერთ რაიონში შეჭიბრებებსაც კი აწყობენ კვერცხების დაგორებაზე. გამარჯვებუ- ლად ითვლება ის, ვისი კვერცხიც არ გატყდება. ხოლო ზოგიერთი ამ თამა- შით მომავალსაც კი ამოიცნობს ხოლ- მე. მოთამაშე, ქალი იქნება ის თუ კა- ცი. დანიშნავს თავის კვერცხს და თუ კვერცხი უვნებელი გადარჩა, მის პატ- რონს ხეჩრა, რომ წარმატება ელის იმ წელს. თუ დაზიანდა, არაა კარგი ნიშანი.

სათამაშოდ ნებისმიერი გორაკი და ბორცვი გამოიყენება.

მეტე ბრწყინვალეობა რომ მიანიჭონ ყოველ სააღდგომო ორშაბათს ბავშვე- ბი და მოზრდილები იკრიბებიან. სხვა- დანსხვაფრად შეღებულ კვერცხებთან ერთად მოაქვთ ფორთოხლები და მა- თაც კვერცხების მსგავსად აგორებენ შემაღლებული გორაკიდან.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ლორთქიფანიძემ.

მეცნიერი ბუნების საუფლო



ქართული
საბჭოთაო

სულთა გაცვლა

XX საუკუნის
იტალიური ნოველა

ჯოვანი პავინი

I

ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, ჯანსაღები, ოცდაათი წლისანი. ერთად სადილობდნენ ერთსა და იმავე რესტორანში, გვერდიგვერდ იხსდნენ კონცერტებზე, უცვლიდნენ ერთმანეთს წიგნებს, ერთი რომ სიგარას შესთავაზებდა, სანაცვლოდ მეორე ახალ გაზეთს გაუწვდიდა.

მაგრამ, თუ არა ვცდები, მათი ურთიერთობა არც მთლად გულისთავი უნდა ყოფილიყო, რადგან ხელს რომ ართმევდნენ ერთმანეთს, ხაოიანი ხელთათმანის შეხებითაც კარგად გრძობდა პირველი, როგორ ცივად და ნაჩქარევად სცილდებოდნენ მეორის თითები. და მაინც, არც ერთი და არც მეორე ისევე არ ჰგავდნენ არავის, როგორც ერთმანეთს და სრულებითაც არ გამიკვირდებოდა, მათი იღუმალი ურთიერთობის მიღმა რაღაც უცნაური რომ აღმოჩენილიყო. თუმცა ჩვენს დროში ამდენი უცნაური ხალხის შემხედვარეს იქნებ ყოველივე ეს არც ჩამეთვალა ყურადღების ღირსად, მოგვიანებით რომ არ შემეტყუო ისეთი რამ, ერთბაშად რომ გაფანტა მათდამი ჩემი გულგრილობა. ამბობენ, ერთ დღეს, ნასაუზმევს, სეირნობისას ერთმა უთხრა მეორეს:

— ხომ არ ინებებდით, გაგვეცვალა ფრიად მნიშვნელოვანი რამ?

ისინი პირადულზე არასოდეს საუბრობდნენ და შეკითხვაც, ალბათ, ერთობ უჩვეულოდ ჟღერდა.

მეორემ უპასუხა:

— სიამოვნებით გავიცვლიდით ნებისმიერ რამეს, თუკი ბევრს არაფერს დავკარგავდი.

— წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს.

— მით უკეთესი. ხიფათს არ ვეძებ, მაგრამ არც ვაფურბივარ.

— ვშიშობ, შეუძლებლად მოგეჩვენებათ, რის გაცვლასაც გთავაზობთ.

— განა ასე აუცილებელია, წინასწარ შემზადება?

რაკი გადაწყვეტილება მიგიღიათ, მეც თქვენთან მივალეთ.

— მაშ, პირობა მომეცით, რომ, უარის შემთხვევაში სიტყვას არავისთან დაძრავთ.

— პირობას გაძლევთ, რაღას აყოვნებთ, მითხარით სათქმელი.

— მე მსურს, სულელები გავცვალოთ — თქვა პირველმა.

წამით შეყოვნდა მეორე და გაიღიმა, არ უნდოდა, შეტყობოდა, რომ ნათქვამმა ძლიერ გააკვირვა. ცხადია, ამის გაგონება დიდი ქალაქის მოედანზე ყველას გააოცებდა.

გახვედა პირველი. ძლივს მხნეობამოკრებილმა ახლა თვალი ვედარ გაუსწორა მეგობარს. ისევ მეორემ დაარღვია სიჩუმე.

— ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ ეს შესაძლებელია?

მეორე, ცოტა არ იყოს, სკეპტიკოსი იყო და ამგვარი რამეებისა არ სჭეროდა. მაშინ პირველმა ჩამოუყალიბა თეორია სულთა გადასახლების შესახებ, მგზნებარედ უმტკიცებდა, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც რამდენიმე სული აქვს და ეს სულები როგორმე რომ ერთმანეთს დაშორდნენ, კრებენ სამყაროში გაბნეულ მატერიას და განსხეულებიან.

მაგრამ მეორე ვერ იტანდა მეტაფიზიკას.

— კმარა, — შეაწყვეტინა მან, — ჩვენი საქმისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ერთი რამ მინდა ვიცოდე: თუ რეალურად შესაძლებელია ამგვარი გაცვლა, რამდენად უმტკივნეულოდ და სწრაფად მოხდება ეს.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, — თქვა პირველმა, — ვნედავ, პრაქტიკოსი ბრძანდებით, რაც ერთობ მზიბლავს, რადგან მე თავად არ ვახლოვართ ასეთი. რაც შეეხება სულთა გაცვლას, არც ისე ძნელია, ერთხელ უკვე შეგძელი ეს. ამჟამად მე ის სული არა მაქვს, რომლითაც დავიბადე. რამდენიმე წლის წინ ჩემი სული ერთ პოეტს გავუცვალე, მოხეტიალე ბუნების გამოცხოვრება რომ ვერაფრით ააწყო, მე კი მუდმივი შემოსავალი მქონდა. როგორც ხედავთ, უკვე მაქვს გამოცდილება. რას იტყვი, თანახმა ხართ?

— უკვე მოგახსენეთ, რომ სულაც არა ვარ წინააღმდეგი. მხოლოდ ნება მიბოძეთ,

ორი პირობა ჩამოგართვათ: პირველ ყოვლისა, ერთი თვე მაინც ვიცხოვროთ ერთად, გავიცნოთ ჩვენი მომავალი სულები. მეორეც, თუ გარკვეული დროის შემდეგ რომელიმეს არ მოეწონება თავისი ახალი სული, მას პირვანდელის დაბრუნება უნდა შეეძლოს.

რა უნდა ეთქვა პირველს ამ გონიერი მოსაზრების საწინააღმდეგო? ასე დაიწყო იანვრის ერთ ნესტიან ღამეს მათი ერთად ცხოვრება.

II

ორივენი ცდილობდნენ, ზნესრულ რაინდებად წარმოეჩინათ თავი. პირველი უსაზღვროდ მოწადინებული იყო, რადგან პოეტის სული ხელს უშლიდა მშვიდსა და უზრუნველ ყოფაში; მეორეს ცნობისმოყვარეობის და სიახლის წყურვილი უფრო ამოძრავებდა.


მეტი სიცხადისათვის ვიტყვი, რომ პირველი — პოეტი — ცდილობდა პრაქტიკოსად წარმოეჩინა თავი; მეორე — პრაქტიკოსი — პოეტურობას იჩემებდა. პირველი ცდილობდა, დაერწმუნებინა მეორე, რომ ყველაზე სრულყოფილად პოეტები შეიცნობენ ჭეშმარიტ სამყაროს, მეორე კი უსაბუთებდა პირველს, მხოლოდ პრაქტიკოსები მძლავრობენო კონკრეტულ ანუ ერთადერთ რეალურ სამყაროში.

პირველი მთელი არსებით ამტკიცებდა, პოეტებსაც ძალუძთ ფულის შოვნაო, მეორე ირწმუნებოდა, რომ პრაქტიკოსებსაც შესწევთ ფანტაზიორობა და შთავონებულის აღმაფრენა.

— თუ კი ასეა, მაშ რაღად გსურთ გაცვლა? — ეკითხებოდა მეორე.

— უკეთესი რომ შევიცნო ცხოვრება, მივილო გამოცდილება.

ცხადია, ზუსტად არ ვიცი, რაზე საუბრობდნენ ისინი ერთი თვის მანძილზე, მაგრამ ძნელი არ უნდა იყოს ამის წარმოდგენა — მსმენელის გემოვნების შესაბამისად შელამაზებულ ფერებში ხატავდნენ საკუთარ წარსულს, მხოლოდ იმას ამხელდნენ, რაც არ დაამდაბლებდათ ერთმანეთის თვალში.



მთელი ამ ხნის მანძილზე ისინი ცხოვრობდნენ ერთად, ერთ ოთახში, არ დაშორებოდნენ ერთმანეთს არც ერთი წუთით, არც ჭამის, არც სეირნობის და არც ძილის დროს. ვიზიტები გადაიღო, ნაცნობები დაივიწყეს, საქმეები მიაგდეს. სულთა გაცვლის დიადმა დღემ რომ მოაღწია, მათი საბოლოო თანხმობა იყო საჭირო. ორივეს კიდევ უფრო გაძლიერებოდა სურვილი და იმ ღამეს, რომელიც მათი ერთად ცხოვრების ოცდამეათე დღეს უსწრებდა, ყოველგვარი გართულებების გარეშე სულელებმა გადაინაცვლეს.

ამბობენ, ეს ძილში მოხდა, უფრო ზუსტად, მაშინ, როცა სული, უძველესი, მაგრამ მყარი თეორიის მიხედვით, ტოვებს სხეულს და თავგადასავლის საძიებლად მიდის, რათა მერე გამოღვიძებულს გვიამბოს ყველაფერი.

განთიადისას ერთის სული მეორის სხეულში დაბინავდა, მეორისამ კი პირველისაში გადაინაცვლა. არც ერთს და არც მეორეს არავითარი ტკივილი არ უგრძნია. თითოეულმა გამოიღვიძა იმ სულით, რომელიც საკუთარი სურვილით მოიპოვა და როგორც კი იგრძნეს, რომ აღსრულდა ყოველი, უსიტყვოდ, მღელვარედ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

იმ დღიდან პირველისთვის დაიწყო მესამე, ხოლო მეორისთვის მეორე ცხოვრება.

III

სულთა გაცვლისთანავე მათი გზები გაიყარა. ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, რადგან ორივე სულმა თუმცა გამოიცვალა სხეული, იგივე დარჩა. ერთი კია, მაშინვე იგრძნეს განშორების სურვილი, მთელი თავის სიახლოვის შემდეგ საშინელი ურთიერთიზილი გასჩენოდათ. ვინ ვერ აიგებს ამის მიზეზს? სული ხომ თავის თავში ყველაფერს შეიცავს — წარსულის ხსოვნას და კიდევ იმას, რაც გულმოდგინედ იჩქმალება უცხო თვალისაგან.

ჩვენ ყველანი ხომ — წმინდანების გამოკლებით — მეტად მიმტყვებელნი ვართ საკუთარი თავისადმი.

აი, სხვისი განკითხვა კარგად გვეხერხება... განა ქრისტე თბის და ბეწვის მეტაფორაში არ გამოხდა სხვის თვალში ბეწვის დანახვას, საკუთარში კი სიამაყის დირეს დაფარვას?!

აბა, წარმოიდგინეთ, რომ სხეულში მოულოდნელად უცხო სული ჩაგისახლდათ. პირველივე შეხებისას იგრძნობთ გაუმძღვანებელი ცოდვების სიმყარალებს; თქვენს თვალწინ გადაიშლება ადრე ამოქოლილი ბინძური კუნჭულები და შეგაძრწუნებთ იმის აღმოჩენა, თუ რა სიმდაბლეს იტევს კეთილშობილი კაცის სული.

სწორედ ეს დაემართათ მეგობრებს: ერთმა მეორის ხსოვნაში მიაგნო, რომ მას მეორე პატივმოყვარე, თავგარიან კაცად თვლიდა; მეორემ კი პირველის ხსოვნაში მიაკვლია, რომ სულის გაცვლამდე მას პირველი უხემ და შეზღუდულ ადამიანად მიაჩნდა. და თუმცა სულელები უკვე გაცვლილი ჰქონდათ, ორივე გულში ნაღვლობდა, რა საშინელი სული მერგო!

IV

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. ახალი ცხოვრების დაწყების სურვილით, თითოეულ სხეულს, მასში დამკვიდრებული ახალი მოსახლის გემოვნებისდა მიხედვით, უნდა შეეცვალა საკუთარი ჩვევები და საქ-

მიანობა. პირველი პარიზში გადასახლდა და ბირეის მუდმივი სტუმარი გახდა; მეორემ პოეტობა დაიწყო, მთებში გაემგზავრა და ამქვეყნიურ სიტკბობებში ჩაეფლო. ასე გაიარა ორმა წელმა.

ერთხელ პირველს საშინლად მოენატრა თავისი პირველი სული, რადგან მისი სხეულის ბინადარ მეორის სულს ჯერ კიდევ ახსოვდა იგი და სულის გამოსათხოვნად იმ ქალაქში დაბრუნდა, სადაც სულთა გაცვლა მოხდა.

მეორე მალე შეეჩვია ახალ სულს. თუ რამ უარყოფითი გააჩნდა, დავიწყების ფერფლი წააყარა და მოჯადოებულებით ტკბებოდა ხეებით, ცით, წყაროებით, სიტყვებით... ბედმაც გაუღიმა: შეუყვარდა ქალი, რომელიც აღმერთებდა. რამდენიმე თვე იყო, ტყითა და ჩიტებით გარშემორტყმულ ერთ პატარა სახლში ცხოვრობდნენ.

იგი ზიზღით იგონებდა თავის წარსულს და საკუთარ თავს იმ წარსულში...

პირველმა მალე მიაკვლია მეორის ადგილ-სამყოფელს და მისვლისთანავე მოითხოვა თავისი ადრინდელი სული. ოთახში ჩაქეტოვებმა კარგახანს იჩხუბეს უშედეგოდ, მეორეს არაფრით არ უნდოდა სულის დაბრუნება, რადგან ასეც მშვენივრად გრძნობდა თავს და საკუთარ უფლებას ხელშეუხებლად თვლიდა. იგი ყვიროდა და არც კი უფიქრია, რომ შეიძლებოდა სატრფოს გაეგო და მიეტოვებინა, რადგან სული, რომელიც მან შეიყვარა, არ ეკუთვნოდა მის გულისწორს. ქალი მართლაც უსმენდა ჩაქეტოვ კარს მიღმა გაჩაღებულ უცნაურ კამათს რაღაცის გაცვლის თაობაზე, მაგრამ რაკი მოკამათენი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ვერაფერი გაიგო.

როცა, როგორც იქნა, კარის ჯახუნით პირველი ოთახიდან გამოვარდა, მთლად გაწითლებული მეორე დაღვრემილი დახვდა შეშფოთებულ სატრფოს.

— ძველმა მევალემ მომაკითხა, — ჩააცქერდა ქალის მუდარით სავსე თვალებს, — მაგრამ მას უფლება აღარა აქვს, რაიმე მთხოვოს.

მეტი აღარაფერი უთქვამს. ეშინოდა, გულწრფელობას არაფერი ევნო მისი სიყვარულისთვის. ქალს სატრფო, უპირველესად, მისი პოეტური ბუნების გამო უყვარდა. ვინძლო მერეც ყვარებოდა, საკუთარი სული რომ დაებრუნებინა, მაგრამ საბრალო მეორეს სატრფო არა მხოლოდ სულით, სხეულითაც უყვარდა.

პირველი რისხვისაგან აღარ იყო. ადვოკატთან წავიდა და დაწვრილებით მოუთხორო ყველაფერი. ადვოკატმა რომ ვერაფრით შეაკავა გაუგებარი აზრების ნიაღვარი, ბოლომდე მოუსმინა და მერე უთხრა:

— ძვირფასო სინიორ, საქმე ფრიად დამაფიქრებელია, მაგრამ, ვეკვობ, თქვენ უფრო ეჭიმი გჭირდებათ, ვიდრე იურიისტი. მაგრამ პირველი არ გატყდა და ახლა სხვა ადვოკატს მიმართა. იგი მეტი გულისყურით მოეკიდა საქმეს. მაგრამ გარკვევით უთხრა, რომ კოდექსი არ შეიცავს ასეთი უჩვეულო გაცვლის გამათვალისწინებელ მუხლს, მით უფრო, რომ არ არსებობს საქმის დამადასტურებელი საბუთები.

მაშინ პირველმა გადაწყვიტა, ადვოკატების დაუხმარებლად დაეცვა თავი. მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საბედნიეროდ, გონიერმა მოსამართლემ, იმის ნაცვლად, რომ მომჩივანი საავადმყოფოში გაემწყესებინა, გამოიძახა მოდავეები, გულმოდგინედ გაეცნო საქმეს და მათი შერიგება სცადა. მაგრამ მეორე არაფრით თმობდა პოზიციას და ამტკიცებდა, რომ შე-

თანხმება ურთიერთობის საფუძველზე მოხდა და მომჩივანს კარგად უნდა ესმინებოდა, რომ ხელახალი გაცვლა მხოლოდ სრული ურთიერთთანხმობის შემთხვევაში მოხდებოდა.

— ეს თანხმობა არ არსებობს, — დაბეჯითებით იმეორებდა იგი — და არც იარსებებს, რადგან ახალი სულით შესანიშნავად ვგრძნობ თავს და ძველის დაბრუნების იოტისოდენა სურვილიც არა მაქვს. სულთა გაცვლა მე არ მომიწოდებია და ეგ სამართლიანად იტანჯება. რაც უნდოდა, მიიღო.

პირველი გაქვავებული იჭდა და უცრემლოდ ქვითინებდა. მერე დაუჩოქა მეორეს, თხოვდა, ემუდარებოდა, მაგრამ ამაოდ. მეორე სამუდამოდ დაკავშირებოდა ახალ სულსა და სატრფოს.

მოსამართლის სახლიდან პირველი გაფითრებული და დამკვირებული გამოვიდა, სასტუმროში ჩაიკეტა და ორი თვე აღარ გამოსულა. თებერვლის ერთ საღამოს მუსიკის მოსმენა ისურვა და თეატრში წავიდა. თოვდა. პირველს შილიფად ეცვა. დილით ველარ ადგა, მთელი კვირა ლოგინში გაატარა. მერე საავადმყოფოში გადაიყვანეს და იგრძნო, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა. მისი სხეული ვერა და ვერ შეეგუა ახალ სულს.

მაგრამ ვიდრე აღსასრული მოვიდოდა, გადაწყვიტა, შური ეძია. გაახსენდა, რომ სული, რომლის დაბრუნებაც ასე გულით უნდოდა, მას არ ეკუთვნოდა. იგი ერთი ღარიბი პოეტისაგან მიიღო, რომელიც ცხოვრებისადმი შეუგუებელი სულისაგან რომ გათავისუფლდა, მსხვილი მიწათმფლობელი გახდა. პირველმა იცოდა, სად ცხოვრობდა ყოფილი პოეტი და გაუგზავნა ვრცელი წერილი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ახლა, როცა თქვენ გამდიდრდით, შეგიძლიათ დაიბრუნოთ სული, რომელიც მე ახალგაზრდობაში დაგიბოძეთ. მაშინ იგი გამდიდრებაში გიშლიდათ ხელს, ახლა კი დაგხმარებოდათ, ღირსეულად დამტკბარიყავით საკუთარი ქონებით. მიაკითხეთ მას, ვისაც, გიჟური ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა, მივეცი თქვენი სული და არ მოეშვათ. ვიდრე არ დაგიბრუნებთ თქვენს საკუთრებას. მჭერა, ბედნიერი იქნებით და შურსაც იძიებთ თქვენი უბედური მწყალობელის მაგიერ“.


ორი დღის შემდეგ ყოფილი პოეტი საავადმყოფოში მივარდა და ყველაფერი შეიტყო. პირველი მალევე გარდაიცვალა და სულის ნამდვილი პატრონი შურისსაძიებლად სოფელში ჩავიდა.

იგი მივიდა მეორესთან და დაემუქრა: „ან დამიბრუნებთ ჩემ სულს, ან ყველაფერს ვუამბობ თქვენს სატრფოს, პასუხისთვის ხვალ გეახლებით“.

ქადილი მეტად მკაცრი აღმოჩნდა. განა რად უნდოდა მეორეს სხეული, თუ მას წაართმევდნენ სულს და შეიძლებოდა სატრფო?! ნებისმიერ შემთხვევაში იგი კარგავდა ყველაზე ძვირფასს, რაც კი გააჩნდა. და მაშინ წყნარ, სოფლურ სახლში გაისმა სროლა, რომელიც ასე ადვილად წყვეტს ხოლმე ყველა ჩახსართულ საქმეს.

დილით სულის პატრონი პასუხისთვის რომ მივიდა, ოთახში წააწყდა ცოცხალ სხეულს, რომელიც მკვდარს გადაფარებოდა და დასტიროდა. კეთილგონიერი მიწათმფლობელი მიხვდა, რომ მხილებას აზრი აღარ ჰქონდა.

იტალიურიდან თარგმან ნუნუ გალაკამი.



ქართული ბარჟონის ოსტატი

ვერტიკალურად: 1. მთავრობის თანხმობა დიპლომატიურ წარმომადგენლად გარკვეული პიროვნების დანიშვნაზე; 2. ორგანიზმში შორეულ წინაართავის დამახასიათებელი ნიშნების გამოჩენა; 3. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების პერსონაჟი; 4. აზრი ან დასკვნა, რომელიც ორ ურთიერთგამომრიცხველ დებულებას შეიცავს; 5. საგანგებოდ მომზადებული აგენტის ძირგამომთხრელი საქმიანობა; 6. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განსაკუთრებული აქტი; 11. ვიეტნამის დედაქალაქი; 14. მეცნიერულ-მატერიალისტურ შეხედულებათა მწყობრი სისტემა, რომელიც მიმართულია რელიგიის წინააღმდეგ; 15. საქართველოს ერთ-ერთი მხარე; 16. ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში საზოგადოების ზედაფენა — „რჩეული“ ნაწილი; 17. კარგად მოსიარულე ცხენი; 20. წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის პერიოდი; 21. კუნძული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 22. ცოცხალი ბუნების, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება; 24. მოძრაობის უნარის დაკარგვა დამბლის ან ტკივილის შედეგად; 25. ქალაქი სომხეთის რესპუბლიკაში; 28. დამპალი და მშრალად გამოვითქული, სიმკვრივეს მოკლებული ხე; 29. საბანკო ოპერაცია.

ორბრუნვულად: 7. მასებზე ზემოქმედების საშუალება საუბრების, გაზეთების და სხვა საშუალებებით; 8. რეაქციულ-ნაციონალისტური მიმდინარეობა XIX საუკუნის დასასრულს ევროპის ებრაული მოსახლეობის წრეებში; 9. XIX საუკუნის შვედი კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი; 10. მედიცინაში ავადმყოფური სევდიანობა, უგუნებობა, უიმედობის გრძნობა; 12. ქალაქი ჩრ. ამერიკაში; 13. სისხლის დავადება; 15. ბუნების გამძვინვარება; 16. თხრობითი ჟანრი; 18. საგანგებო დავალება, უმაღლესი დანიშნულება, საპასუხისმგებლო როლი; 19. რადიოაქტიური ელემენტი; 23. ერთუკრედიანი ცოცხალი ორგანიზმი; 26. XX საუკუნის საბჭოთა ფიზიკოსი; 27. ინდიელთა ტომი; 28. რაიმე დაწესებულების განყოფილება, რომელიც სხვაგან არის მოთავსებული; 30. თავაღუნაურული შემეცნებლობითი ტიტული ინგლისში; 31. უმაღლესი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება; 32. ძველი რომის ისტორიასთან დაკავშირებული ენა; 33. XX საუკუნის ქართველი პოეტი.

შეადგინა გივი მარკოშვილი.

ზურაბ ვარშანიძე ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეზიარა ხალხური მუსიკის მშვენიერ სამყაროს. მამამისი მღეროდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. ბიძაშვილი კი ჩინებულად უკრავდა გარმონს და ზურაბიც სრულყოფილად დაეუფლა ამ საკრავს. ხშირად მონაწილეობდა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტებში. ისე გაიტაცა ამ ინსტრუმენტმა, გადაწყვიტა, საკუთარი ხელით შეექმნა ქართული გარმონი.

უნიკალური ხელობის საიდუმლოებათა დაუფლებაში მას დაეხმარა ქართული გარმონის ცნობილი ოსტატი, თბილისელი კ. ბაღდასარავი. პირველი გარმონი 15 წლის წინათ დაამზადა და იგი დღემდე ვერ ელევა ამ მშვენიერ მუსიკალურ საკრავს, თუმცა მას შემდეგ მან კიდევ ორი ათეული მუსიკალური საკრავი შექმნა.

თავის უნარს, ოსტატობასა და პროფესიის სიყვარულს ზურაბ ვარშანიძე გადასცემს ვაჟიშვილებს — ემზარსა და ედნარს.

ასე ყალიბდება ოჯახში ქართული გარმონის ოსტატთა დინასტია.

მე-9 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ორბრუნვულად: 5. ანექსია; 6. ბუღიზმი; 9. დიფამაცია; 12. რკონი; 18. დეტა; 14. დონვი; 17. შინაი; 18. კრეტა; 19. ბლოკი; 20. აქხაი; 25. კალკი; 26. ბენუა; 27. ატაშე; 30. ნიპილიზმი; 31. კრახუნა; 32. პლუტონი.

ვერტიკალურად: 1. ანოუკი; 2. ლიბია; 3. კურია; 4. ემზარგო; 7. მაფია; 8. პაქტი; 10. ენციკლიკა; 11. კონტრაქტი; 15. შიპკა; 16. ჭრაქი; 21. დანდური; 22. კენია; 23. მუსხე; 24. ოშმინი; 28. პიმნი, 29. ხმალა.

ბარეკანის პირველ გვირგვინზე: ფარნავაზ მეფე. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.
მეორე გვირგვინზე: თბილისის რესპუბლიკური მოღებვის და ჩაცმის კულტურის ცენტრი (ახალი მოღებები).

გადაეცა წარმოებას 19. 09. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 10. 90. ქალაქის ზომა 70x108/8, გარკეანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით, ფიზიკური ფურცელი 3, აირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 5,89. ტირაჟი 54 000. შეკვეთა 1779. ფასი 35 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, 99-01-88, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



თამარ ციციშვილი 100 წლისაა. იუბილარი ცხოვრობს გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში. თავს კვლავ მხნედ გრძნობს, უყვარს სიცოცხლე და ყველას დღეგრძელობას უსურვებს.

136/
6 / 129

